



ກົມອຽກໂຮງ ກ່ອງການລາວເສດຖະກິດ

# ສຸກເຫຼືອ ຂອງລາວ

ຕະບູລາຍເສດ  
1997

ბესარიონ ჭორბენაძის სსოფნას  
 კუმდენი ამ წიგნს.

## წინათქმა

**მ**ოცა ქართულ ენაზე ვთიქრობ. მის  
 წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ  
 რაიმეს თქმას დავაძირებ. მუხრან  
 მაჭავარიანის ლექსი შემახსენებს თავს:

„საშეველს რომ აღარ მაძლევს სოლმე  
 მამულზე ფიქრი,

სანდახან

გულში

ღიმილით

ვატყვა: -

რა ჩემი ჭკუას საქმეა ნეტა.

მამულო ჩემო, გილხინს თუ გაჭირს! -

რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!

ანდა რომელი მსაჯული მისი!...“

მაგრამ იმასაც გავიხსენებ. რომ ეს ლექსი  
 ასე მთავრდება - „დალატიათ მაგგვარი  
 ფიქრი“ - და ვბეჭდავ ნაფიქრისა და ნაოც-  
 ნებარის მკითხველამდე მიტანას...

აյ წარმოდგენილი წერილები სსვადასხევა  
 დროს იწერებოდა და სსვადასხევა  
 გამოცემებში იძეჭდებოდა; შესაბამისად,  
 მკითხველიც სსვადასხევა პყავდა... ამიტომაც  
 მოუგვარებელ და საჭირბოოტო საკითხთა



შესახებ ერთი და იგივე აზრი ზოგჯერ რა კი არ არის  
მეორდება. ამას თავისი მიზანიც პერნდა:  
რაც შეიძლება მეტისთვის მიმეწვდინა ჩემი  
ფიქრი და რაც შეიძლება მეტი თანამოაზრე  
გამეჩინა... ამ გამართლებას ვხედავ განმე-  
ორებაში...

ზოგი საკითხი (და ზოგ ფოტოზე აღბე-  
ჭდილი ვითარება) შეიძლება დღეს მოგ-  
ვარებული იყოს, მაგრამ საერთო მდგო-  
მარება, სამწუხაროდ, ბოლო წლებში  
უცვლელია... ყოველ შემთხვევაში, სახიე-  
თოდ არც იცვლება, პირიქით!... ამიტომაც  
გადავწყვიტეთ ამ მასალების შეკრება ერთ  
წიგნად.

ღმერთმა ინებოს და აქ დასმული საკითხები  
ასლო მომავალში ისტორიის საკუთრებად  
იქცეს!...

**7.IX.1997**

## როდის გვასელება დაღაცა?

დასრულდა მძიმე და როგორი წინასაარჩევნო პერიოდი.

დამთავრდა ეამი დაპირებებისა და დაიწყო შეპირებულ სიკეთეთა მოლოდინის ხანა. არ გესურს, უსაზღვრო იყოს ჩემი მოლოდინი. არადა, ამასაც შევეჩირიყო: არაერთგზის მოგვიღია დაპირება და დაუზიდებას მისცემია იგი-ჩეენ დედაენის ბედი გვადარდებს.

როგორც სხვა დროს, წინასაარჩევნო პერიოდში ქართული ენაც გაიხსენა მავანმა და მავანმა. ზოგჯერ საკმარის გაუმართავი ქართულით ლაქციებს გვიყითხავდნენ იმის თაობაზე, რომ დედაენას უნდა მოვუაროთ, უკატრიონოთ... და ეს არ იყო ერთი და ორი შემთხვევა. სამწუხაროდ, დედაენაზე ფიქრმა და ზრუნვამ კამპანიური ხასიათი მიიღო; მავანისა და მავანის ხელში ქართული ენა ქულების დაგროვების საშუალებად იქცა.

ასე იყო წინა არჩევნებშიც პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს ქართული ენისადმი უატუკეტულობა უსაყველურეს და ერთი სატელევიზიო გამოსვლა იმის მტკაცებას, ახსნა-განმარტებას მოანდომა, თუ რა დიდი დღიწლი აქვს მას დედაენის მიმართ. ჩაიარა არჩევნებმა და, სამწუხაროდ, ქართულ ენას უკეთაზე მეტად იმ უწყებაში უჭირს, რომელსაც პრეზიდენტობის ის კანდიდატი ხელმძღვანელობს.

ასეთი ფატირი გვახსოვს: ქვეყნის, ქრისა და ენის სიყვარულში გულ-დარწევარ პარლამენტარებს აწ განსეინებულმა ბატონმა თეგნიში ბუაჩიძემ შეახსენა, რომ ქვეყნისა და ქრის გასაგონად სწორი ქართულით უნდა ვისაუბროთ და, ჩეენდა საუბედუროდ, ტრიბუნაზე მყოფ ბატონ თ. ბუაჩიძეს დარბაზიდან რეპლიკა ესროლება – რა დროს ქართული ენაო. ასე ერთხმაშად ჩაიყარა წყალში ის წინასაარჩევნო დაპირებები – ქართულ ენას მიეხედავთ... დაგვერწმუნებით, წინასაარჩევნო პერიოდში ვერ გაბედავდა დეპუტატობის კანდიდატი ასეთ რეპლიკას – პარლამენტში შესვენა იყო საჭირო და ასეთი მოქმედება საქმეს გაურთულებდა. როგორ თავისი გაინალდა, რა დროს დედაენაა...

დიდად სამწუხარო ფატიად მიგვანია ისიც, რომ საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვას, მისი შესწავლისა და სწავლების საკითხების მოგვარებას სპეციალური სამსახურომ დაბეჭნილება-პროგრამები სცირდება. სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც ათეული საუკუნეების მანძილზე არ მქონდა ქართველ კაცს ასეთი დადგენილება-პროგრამები,



მაგრამ დედაენას უურადღება, სიყვარული და ზრუნვა არასოდეს მოჰკვდებია, უურო მეტიც, ენა ქართველი კაცის უპირველესი სალოცავი ხატი იყო. ოდისუანეე ქართველი კაცი ერთის მოლიანობის უპირველეს პირობად ქართულ ენას თელიდა, ენა ეროვნულობის ბურჯად მიაჩიდა დღეს კი?..

დღეს კა აუცილებელი გახდა სამთავრობო დადგენილება – პროგრამები, რომ ქართველმა კაცმა ქართულად იღავარაკოს, ისწავლოს, იღვაწოს; დედაენას რომ ღირსი პატივი მიაგოს.

ამ აუცილებლობამ გამოიწევა ქართველი ენის სახელმწიფო პროგრამის შექმნა და ეს პროგრამაც მიეკიწყოთ ვანა იმიტომ, რომ მასში შეტანილი საკითხები მოვეარდა. არა, კომუნისტური მთავრობის დროს მიღებული პროგრამა იმავე მთავრობამ გაიყოლა და ეროვნულ მთავრობას მის განახლებაზე, გაციცხლებაზე, შესრულებაზე არ უფიქრია..

1995 წლის იანვარში სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე: მინისტრთა კაბინეტს დაევალა, რომ ორი თვეის გადაში უნდა დაემტკიცებონა ქართველი სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება და ერთი თვეის ვადაში – მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა. ქართველი ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 1995 წლის ოქტომბერში – არჩევნებამდე ორი კვირით აღრე.

არ გვინდა ეითიქროთ, რომ ესც წინასაარჩევნო ღონისძიება იყო. გენდა გევაროდეს, რომ ახალი ხელისუფლება და მთავრობა ქართველი ენის სახელმწიფო პროგრამასაც გაიხსნებს; დედაენას უანგაროდ მოემსახურება. არ გვინდა გამართლდეს სკეპტიკოსთა პროგნოზი, რომ ქართული ენის მორიგი გახსენების თარიღი 14 აპრილი იქნება – ქართული ენის დღე.

„ბურჯა ქოფებისა“,  
ნუშევა, 1995 წ.

## განვითარების ზარი

ჩეუნის გაზეთში ("ბურჯი ჭავჭავაძისა") წინა ნომერში დაიბუკდა პედაგოგ ლექნა მგალობლის შეიღლის წერილი „ოცნება სახელმწიფო კულტურისათვის“. წერილში დასმული საკითხი დიდად მნიშვნელოვანი გვერდი ენის თვალისაზრისით.

დაენტერესდით და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის I-II კურსის სტუდენტებს ასეთი კითხვარი დაუყრიყეთ:

1. სწავლობდით თუ არა X-XI კლასებში საგანს ქართული ენა?
2. სკოლის დამთავრებისას ჩააბარეთ თუ არა ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

3. თუ ჩააბარეთ, საგამოცდო ბილეტში იყო თუ არა შეკითხვა ქართული ენიდან.

4. თუ იყო შეკითხვა ქართული ენიდან, იყო თუ არა საგაღილებული მასზე პასუხის გაცემა.

ჩეუნდა სასწავლაროდ, თითქმის ყველა შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი მიყიდეთ. რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი გამონაცვლისებიც, მაგრამ მათი როცხვი ძალიან მცირეა (2-5%). ზოგადი სურათი ასეთია:

X-XI კლასებში ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, ცხრილებში კი არის შეტანილი, მაგრამ არ ისწავლება. ეს საათები ან ქართული ლიტერატურისათვის გამოიყენება, ან სხვა დანიშნულებით, ხშირად არც ტარდება გაკვეთილი (ზოგმა კურსდამთავრებულმა ასე გვიპასუხა: „არ მახსოვრება“).

სკოლის დამთავრებისას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა ჩატარდა ზოგიერთ სკოლაში. პასუხი „არ მახსოვრება“ ამ კითხვაზეც მიყიდეთ. I-II კურსელი რომ იტყვის, არ მახსოვრეს, ზეპირი გამოცდა ჩააბარეთ თუ არა, ეს რა უძლიერებაცა ჩეუნი სკოლისთვის, აღბათ განმარტებას არ საჭიროებს.

იქ, სადაც ჩაბარდა ზეპირი გამოცდა, საგამოცდო ბილეტებში ზოგან არ იყო შეტანილი საკითხი ქართული ენიდან, არც წინადაღების გრამატიკული გარჩევა მოუთხოვიათ. ზოგიერთ სკოლაში საგამოცდო ბილეტებში იყო შეტანილი საკითხები ქართული ენიდან, მაგრამ გააფრთხილეს მოსწავლეები, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ იყო საგაღილებულო. იყო შემთხვევა, როცა მასწავლებელმა წინასწარ ჩააწერინა მოკლე პასუხები ენობრივ

## გორგი გოგოლაშვილი



საკოსთხეული, თუმცა ეს ძაღლზე იშვიათი შემთხვევაა (საერთოდ, საგამოცდო  
ბილეტებში) შეტანილი საკოსთხები საგანგებო მსჯელობის საგნად გვესახება.


პასუხი არ მახსოვებს" თითქმის ყევლა კითხვაზე გაეცა, "ხემოთაც ვთქვათ,  
ახალკურსდამთავრებული რომ ასე უძასუხებს ამ შეკითხვებს. ეს გამოცდებისა  
და, საერთოდ, სწავლების პროცესის არასაერთოზელობაზე მიანიშნებს.

მდგომარეობა საგანგაშოა, დროა დავარისხოთ განგაშის ზარი!

დედაქა ქართული სკოლის გერად არ უნდა გაქვითოს!

„ბურჯი ქრონიკისა,  
დაკამაბერი, 1996 წ.

ო, უნდა ჩემოს..



საქართველო  
გზებზე!..



„ბურჯი ქრონიკისა  
დაკამაბერი, 1996 წელი

## დედამისი უახლარო სამსახური სპირდება

ქართული ქნის სახელმწიფო პროგრამის პროექტის განხილვის დროს თქვენი სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში ქართული ქნის უფლებების დაცვას, მისი შესწავლისა და სწავლების საქითხების მოვარებას საეკიანური სამთავრობო დადგენილება-პროგრამები სტირდებათ. სამწუხაროა მიღენად, რამდენადაც ათეული საუკუნეების მანძილზე არ ჰქონდა ქართველ კაცის ასეთი დადგენილება-პროგრამები, მაგრამ დედაქნას ყურადღება, სიყვარული და ზრუნვა არასოდეს მოპერის უფრო მეტიც - ენა ქართველი კაცის უპირველესი სალოცავი ხატი იყო. ამას, როგორც ჩანს, უცხოულის თვალი უფრო ამზენეს. ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგი პანს ფოგტი ბრძანებდა, ქართველებს თავიანთი ქნის ნამდევილი ქულტი აქვთო". იდიოგანენე ქართველი კაცი ერთი მთლიანობის უპირველეს პირობად ქართველ ენას თელიდა, ენა ეროვნულობის ბურჯად მიაჩინდა, დედაქნისადმი ქართველი კაცის უნიკალური დამოკიდებულების მაგალითად იქმარებდა ოთანე ზოსომეს ლექსის აქებად და დიდებად ქართველისა ენისა" და დავათოს ქვაჯვეარის გახსენება.

დღეს კი? დღეს აუცილებელი გახდა სამთავრობო დადგენილება-პროგრამები, რომ ქართველმა კაცმა ქართველად იღლაპარაკოს, ისწავლოს, იღვაწოს, დედაქნას რომ ღირსი პატივი მიაგოს. გვახსოვეს, აღიბათ, რომ სამოცდაათიან წლებში სამთავრობო დადგენილება მიიღეს ქართველი ქნის შესახებ. ახმაურდა რადიო, ტელევიზია, პრესა. კუკრავდით ტაშს და ხოტბას ვასხამდით დედაქნაზე შეზრდეთ კომპარტას - შედეგი? სავალალო. იგივე კომპარტია რუსულად მეტყველებდა - გეორგიებდნენ, აჯობებდა რუსულად გვესწავლა, გვეფიქრა, გვეაზროვნა. უწყებებმა, წარმოება-დაწესებულებებმა საქმე გაითოლეს - დედაქნა დაიიღიწეს. ვაიქართველოთა ტალღა აზერისთვა - შეიღები რუსულ სკოლებში მიაბარეს - ერ უშეელა ქართველ ენას ცკის დადგენილებებმა. 1975 წლიდან გვითხრეს, არ გიშლით, შეგიძლიათ დისკრტაცია ქართველად დაიცეათ, ოლონდ თუ გინდათ, რომ დაგიმტკიცოთ, რუსულად თარგმნეთ და გამოგეიგზავნეთ; ვითარებით, ხართ თუ არა ღირსი სამეცნიერო ხარისხისათ. ვაიქართველებმა ისევ გაითოლეს საქმე - მანც რუსულად უნდა ეთარგმნოთ და რუსულად დაიწყეს წერა. სამეცნიერო გამოცემათა უმრავლესობა რუსულად გადაკეთდა; ზოგ მათგანს

სახელწოდებადა შემორჩინა ქართველი.

ისევ ამოქმედდენ პატრიოტული ძალების შეახსენეს ქართველს – ქართული შენი ენაა და ქართველად წერეთ, იღაპარაკეთ, ისწავლეთო... განჩდა იღეა სამთავრობო დონეზე პროგრამის შედგენისა. იღეა, ასე ვთქვათ, ქვემოდან წამოვიდა. მიზანდასახულება ქრთი იყო: ის, ვისაც სამსახურებრივიად ევალებოდა, ეზრუნა ქართული ენის შესახებ, ეკვთებინა ქართული საქმე, ანგარიშს გაუწევდა სამთავრობო დადგენილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი სეამის უსაფრთხოებაზე ზრუნვა აიძულებდა. შეესრულებინა სამთავრობო პროგრამით მასზე დაკისრებული საქმე, ეკმეორებოთ, ეროვნული უბედურებაა, როცა ქართველ კაცს დაგალება სჭირდება, შენს ენას პატივი ეცი, მოუარე და უპატრონეოს... სხვა გზა არ იყო: სალიტერატურო წა შევლას ითხოვდა და შეიქმნა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. ყველა ძირითადი პრობლემა, რაც ქართული ენის წინაშე იღდა, ამ პროგრამაში იყრიდა თავს, კონკრეტულად დაგვალა ამა თუ იმ უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რა უნდა გაცემოთინათ. მათვეის, ვინც პროგრამა ჩაიფიქრა და შეაჯინა, ეს იყო ერთადერთი გზა დედაქნის სასიკეთო საქმეთა კეთებისა; რადგან გვჯეროდა და ახლაც გვჯერა, რომ ცალკეულ უწყებათა თუ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს თუ ზემოდან არ მოუთოვს, არც დედაქნა ახსოეთ და არც დედასაშობლო. ზემოდან მითითობის, დაგალების მეოთვი იყო საჭირო, ქართველი თანამდებობის პირი ერთეული საქმის საკუთადებად რომ ამოძრავებულიყო. ეს რომ ფაქტია და არ ვაჭარბებ, კონკრეტულ მაგალითს მოეცემან: ქართული ენის შესახებ ნაშრომთა გამოცემის ორგანიზება დაგვალა გამსახურმა და მეცნიერებათა აკადემიას. ქართული ენის პროგრამა 1989 წლის 15 აგვისტოს დამტკიცდა (ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ პროექტის განხილვა 9 თვეზე მეტხანს გაგრძელდა) და მიმდინარე 10 წლის ბოლოსთვის კონკრეტული გეგმა მოვალეობეს (ამას პროგრამა ავალებდათ), 10 წლის განმავლობაში ენამეცვნიერების ინსტიტუტი რა ნაშრომებს მოამზადებდა გამოსაცემად გამოცემის გადებისა და წიგნის მოცულობის მითითებით. ჩვენც არ დაგვიყოფებია და ასეთი გეგმა გადავუკით გამსახურმა და მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს 1989 წლის ბოლოს გეგმაში ისეთი ნაშრომები იყო შეტანილი, რომერიცაა მრავალორმეული „ქართული წა“, განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, თარგმნით, დაალექტური ლექსიკონები და სხვა. დაგვამეცდეს, მთავრობას პირობა მისცეს, ფიზრუნებით გამოცემაზე. გამოცემის საქართველოში“ ენისა და ლიტერატურის რედაქცია უნდა შექმნილიყო... კონკრეტულად დღემდე არაუკრი-

## ფაქტობი დედაქაშე

გაკეთებულა გეგმაში შეციტაცია ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც დიდი ხანია გამომცემლობებში დაცუა ("ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი", „სეარ-ენის ნური ლექსიკონი", „თუშური ლექსიკონი"-); კითიქერეთ, იქნება ამან დააჩქაროს გამოცემი ამ უაღრესად ძირიშვნელოვანი ლექსიკონებისა-თქმ. არა, ბატონო- ჩერების ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოეცა, კითიქერეთ, ეს ფაქტი ჩერებს საგამომ-ცემლი საქმეს სასიკეთოდ შემთაბრუნებდა. მიუმართული ჩერებს გამომცემლებს, შევასხენეთ მოცემული პირობები და რასაც ერთ კითიქერებდით, ის პასუხი მიერიდეთ: ის პროგრამა ძევლი მთავრობისა იყო...

დაცვურწმუნებით, ესაა პასუხი იმგვარ „მოღვაწეთა“, ვის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ: თუ მთავრობა დაავალებს, კვდება გააცემოს ეროვნული საქმე, არადა, რის დადგანა, რა მატული...

საინტერესოა, რატომ ფიქრობენ ეს „მოღვაწენი“, რომ ქართული ენის სამ- სახური იმ მთავრობის დავალებით შეიძლებოდა; ახალი მთავრობისთვის ეს ნაკლებად საზორუნავი საქმეა? პირიქით, ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ქართული ენის პრობლემა უმნიშვნელოვანესი იყო და იქნება ამგ- ვარ „მოღვაწებს“ უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ბატონი ზეიად გამ- სახურიდას სიტყვა მინდა შევასხენო: „საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიწნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფო უნდა გამ- სტატუსის რეალური და არა მოჩენებითი განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგულებნ ქართულ ენას თავიანთი ვწ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოიყონ ამგეარ დაქვემდებარებას ან სრულიად შეწყვიტონ არსებობა— უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკუიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი— ქართული ბაეშეები აღარ უნდა იზრდებოდნენ რესულ სკოლებში“.


ინტერესის განელება და ქართული ენის პროგრამით გათეალისწინებული საკითხებისადმი გულგრილი დამოიდებულება მხოლოდ საგამომცემლო საქმეში არ მომხდარა. პროგრამის დამტკიცებასაც კი არ დაღოიდებიან, პროექტის გამოქვეყნებისთანავე შეიმნა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში. დაწყეს დაკუმუნტაციების, საქმი- ანი ქაღალდების გაქართველება, ფიქრი და ზრუნვა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე. აღმასკომებთან შეიმნა კომისიები...

ენათმეცნიერების ინსტიტუტი დამის ეეღარ აუდიოდა დახმარების მთხოვნელო, მაინც შექმელით თითქმის შეუძლებელი და მართლაც გაკეთდა მრავალი სასიკეთო საქმე - გაქართულდა მრავალი დაწესებულების დოკუმენტაცია; მაგრამ ეს ენთუზიაზმი თანდათან ქრება: ბევრგან დამატდა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები; აღარც დოკუმენტების გაქართულებას ეშერებიან.

ქამპანიური ღონისძიებების მოყვარულთა საყურადღებოდ ესკამ კითხების ისევ რომ გამოცოცხლდეს ზორუნვა დედაქაზე, ახალი ეროვნული მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამა-დაღგენილებაა საჭირო? ზემომოყვანილი ნაწყვეტი ბატონი ზედად გამსახურდის გამოსვლიდან არ გურიქვეს ახალი ხელისუფლების პოზიციას დედაქნისადმი? ხომ არაა აუცილებელი და საშური ყოველგვარი სამთავრობო დავალების გარეშე ეკმისახუროთ დედაქნას - ბერძეს ეროვნულობისას - იმ სფეროში, საჭაც ესაქმიანობთ? სხეაგვარად რომ ეთქათ, ჩენი სამსახურებრივი მოვალეობისა და შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ კი იმას, რასაც ქართული ენა ჩენგან მოითხოვს? არგაკეთებულისათვის თავის სამართლებელი მიზეზების ძიება არაა საქმე მიზეზებს, მით უმეტეს, დღეს, მრავალდ მოიძევთ; მაგრამ საკუთარი მოქალაქეობრივი სინდისის, ერისა და დედაქნის წინაშე მართები ეიქნებით? ვეფიქრობთ, რომ არა!

„საქართველოს რესპუბლიკა“  
6 აპრილი, 1991 წ.

ო, ენავ ჩემო!..



თბილისი, რესთაველის მოედანი

„გურული ეროვნებისა“  
იანვარი, 1996 წელი

## დროა, ეართია ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფო პროგრამი ზრუნვის საგანი გახდას!

1998 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი. პროექტის განხილვამ ცხრა თვეს გასტანა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, გამოქვეყნდა 25 აგვისტოს. მთავრობის დადგენილებაში ეკითხულობა: „2. დაევალოს რესპუბლიკის უკედა პარტიულ, საბჭოთა, სამეცნიერო, აღმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ლონისძიებათა განუხელები და დროული შესრულება. 3. უკედა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის გადაში დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩეკნებით“.

შესრულებას კონტროლიც დაუწესდა—

პროექტის განხილვის დროს დიდად აქტიური და დაინტერესებული ჩანდა ჩენი საზოგადოება ამ პროგრამით. იყო მრავალი წინადადება და შენიშვნა; იყო ქადილი და დაპირებები. შედეგი? რა მოგახსენოთ! გაცილებით მეტი გაკუთდა პროგრამის პროექტის განხილვის პერიოდში, ვიზურებული პროგრამის დამტკიცების შემდეგ.

დადგენილების თანახმად, შესაბამისში ინსტანციებში თპერატიულად მოიხსოვეს შესასრულებელ ღონისძიებათა ნუსხა და, არსებითად, ამით დამთავრდა ყოველივე მაგრამ მომდევნო პერიოდში რა გაკუთდა ან რა კუთდება პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად?

თუმცა, შეიძლება მართობული იყოს, კითხვა ასე დაგენერაცია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არსებობს, უნდა იყოს, თუ ადარ არის საჭირო? კითხვის ამგერად დასმისა აქეს საფუძველი. ერთ ფაქტს დაეიმოწმება: ქართული ენის შესახებ სამეცნიერო, შეთოდიკური თუ პოპულარული ღირებულების გამოცემა დაუკალათ გამსახურებათა აკადემიას. ენათმეცნიერების ინსტიტუტში უწევდო ნუსხა შეადგინა უაღრესად საჭირო და აუცილებელი ნაშრომებისა და წარუდგინა გამოცემლებს. როცა ჩენი გეგმის ბედი მოეწოხეთ, გვიპასუხეთ ის პროგრამა (ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა) ძეველი მთავრობისა იყოთ. ამას „ერთოუნული“ მთავრობის დროს გვეუძნებიან. ასე სხვაც უიქონბდა— ანბანური ჰქეშმარიტებაა: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არც ერთი მთავრობისა არ არის; ის ეროვნული

პროგრამაა და ერთის საარსებო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს ზოგიერთი მთავრობა გულისყრით უნდა ეპურობოდეს და უწყობდეს ხელს მის შესრულებას.

პროგრამაში არ ყოფილა, არსებოთად, არც ერთი საკოხი, რომელიც აქტუალური არ იყოს დღესაც, რომლის მოგეარება გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენდეს. იქნებ დადგა დრო (აღმართ, დაგვანძლა კიდეც), სერიოზული ყურადღება მიეკუს ამას. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევამ დედაქნისადმი ზრუნვა უნდა გაათკიცოს.

ნებ გავიტრებო ისე, თოთქოს, არაუერი კეთდებოდეს დედაქნის სასიკეთოდ. მაგრამ კეთდება ის, რაც პროგრამის შედგენამდეც კეთდებოდა; იღვწის და ზრუნავს ის, ეინც მანამდეც არ იშერებდა ძალას ამ სასიკეთო საქმისთვის. პროგრამა კი არ ამოწმედებულა დედაქნისადმი უგულისფურო დამოკიდებულებისას ერთ გულსატყენ ფაქტსაც გავიხსენებ: 15 წელია „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი, შევსებული და შესწორებული გამოცემა ძევს გამომცემლობა „განათლებაში“, პროგრამაშიც შევიტანეთ (გევორნა, ეს დააჩარებდა გამოცემას), მაგრამ... ათასობით დაინტერესებული კაცი დღესაც ელოდება ამ წიგნს: გამომცემელთაგან მხოლოდ დაპირებებია— ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება.

დროია, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოური ზრუნვის საგანი გახდეს.

ურიოვნოვანი არ იქნება, აღმართ, თუ გაეიხსენებთ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სამ მთავარ ასპექტს მოიცავდა: ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, ქართული ენის შესწავლა და ქართული ენის სწავლება.

შეიძლება ეინტერესული იყოს, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფის პრიბლემა დღეს ისე მწვავედ აღარ დგას, როგორც ამ პროგრამის შედგენის დროს იყოთ, მაგრამ ამ მხრივაც გასაკეთდებოდა და მოსაგერებელი მრავლადა. პროგრამის ის ნაწილი, რომელსაც „ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი“ ჰქონდა, ასეთ საკოხის ითვალისწინებას: „2. საქართველოს უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას;

3. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის



უუნქცონირებისა და სიწმინდის დაცვას; შეიმუშაოს ქვედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკიდრებლად.

4. რესაუბილიერის ყველა ქადაქსა და რაონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთან ქართული ენის უუნქცონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამსედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა.

5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია – (შეიძლებოდა ეს გრუელი ამონარიდი ან მოგვეყანა, მაგრამ, სამწესარიდ, პროგრამა პროშურად ჯერ არ გამოქვეყნებულა...).

ვფიქრობთ, ყველა ეს საკითხი სასწავლოდ მოსაგვარებელი და გადასაწყვეტია, რასაკირებულია, თანამედროვე რეალიტან შესაბამისობაში.

ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას თითქოს არაფერი უშლის ხელს. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ჩვეული ენთუზიაზმით მუშაობენ; მაგრამ აქაც როგორიც პრობლემა იქნება თავს: ნაშრომთა გამოცემის საკითხი გართულდა. არათუ გართულდა, ფაქტობრივ, შეჩერდა. გამომცემლობა „მეცნიერება“ (რომელიც მირითადი გამომცემელია ამ სახის ლიტერატურისა) უმიმეს ფინანსურ მდგომარეობაშია; ინსტიტუტებს კი არაეთართ საშუალება არა აქეთ, დააფინანსონ თავიანთი გამოცემები: თუ კელეკა-მიების შედეგები არ გამოქვეყნდა, მეცნიერების წინსელაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, გამოსაცემად მომზადებული ნაშრომები დღის სინათლეს, ალბათ, მანამ ვერ იხილავს, სანამ სახელმწიფო მისი დაფინანსებისთვის არ იზრუნებს. ამ საქმეში მეოხებსაც (სპონსორებსაც) შეუძლიათ თავიანთი სიტყვის თქმა...

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მესამე ასპექტიც - ქართული ენის სწავლება - გადაუდებელ ღონისძიებებს საჭიროებს.

რაგინდ სავალალოდაც მოგვეჩენოს, ქართული ენა სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად პოპულარული საგანია. გამოკვლეული რომ მოეწყოს, თუ რომელი საგანი უფრო უყვარს მოსწავლესა თუ სტუდენტს, მეცნიერა, რომ მრავლად იყვნენ ისინი, ვინც ქართულ ენას პირველ საგნად დაასახელებს. აქ რამდენიმე მომენტია საგულისხმო:

უნდა გადახალისდეს პროგრამები და შეიქმნას ახალი

სახელმძღვანელოები. ამ საქმის დაყოფნება გამოიუსწორებელ შედეგებს მოგვცემს. შშობლოური ენისადმი (როგორც საგნისადმი) ინტერესის გატერიტის ერთ-ერთი მიზეზზ ესეც უნდა იყოს.

უფრო საკალალო და საშიშია უპასუხისმგებლობა ამ საგნის სწავლებისადმი. ქართული ენა ერთ-ერთი ის საგანია (თუ ერთადერთი არა), რომელიც განათლების უცვლა ეტაპზე ისწავლება - საბაქშო ბაღიდან დაწყებული უმაღლესი სასწავლებლით დამთავრებული. უკრალებების შესუსტება თუ უპასუხისმგებლობა ამ ხანგრძლივი პროცესის რომელიმე ეტაპზე გამოიუსწორებელ შედეგს მოგვცემს. თუ ერთი როგორი გაწყდა, მთელი პროცესი ჩაიშლება. რა მდგომარეობაშია სკოლაში ქართული ენის სწავლება? როგორია მოთხოვნა უმაღლეს სასწავლებელში შემსელებულთათვის ამ საგნისა? როგორია ინტერესი უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებისა ამ საგნისადმი? საერთოდ, რას ვასწავლით და როგორ? - უკელა ამ კონხეას ერთმანეთთან უშავდო კავშირი აქვა.

რა დასამართლია და, დღეს დედაქნისადმი მამულიშეიღლური დამოკიდებულების შენება საგრძნობლად მოისუსტებს. სამწუხაროდ, მოსწავლე თუ მისი შშობელი უფრო პრაგმატული თვალით უყურებენ სასწავლო საგანს (არცთუ იშვიათად, მასწავლებელიც); სკოლაში იმ საგანს უომობენ საგანებო უკრალებებას, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე უნდა ჩააბარონ. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ მისაღები გამოცდები განსაზღვრავს იმას, თუ რა ისწავლოს მოსწავლეშ და რა - არა (და არა ის, რისი ცოდნაა აუცილებელი ქართველი ქაციისთვის უპირეველესად). ამ რეალობას ვერ გავიჩვევთ. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენას, როგორც საგანს, ლინის პატივი უნდა მიეაგოთ. მართალია, უკელა სასწავლებელში ბარდება გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში", მაგრამ ქართული ენის" ცოდნის მოთხოვნა პუნქტუაციისა თუ ელემენტარული მართლწერის წესების ცოდნით ამოიწურება. მოგეხსენებათ, მხოლოდ ეს ჯერ კიდევ არ არის საგანი "ქართული ენა", შედარებისთვის: სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ცალკე საგნებია აღიერონა და გეომეტრია; უმაღლეს სასწავლებელში ერთ გამოცდად ბარდება, მაგრამ არ იღავხება არცერთის ინტერესი - თანაბრად მოეთხოვება როგორც აღგებრის, ისე გეომეტრიის ცოდნა. ასევე ქართული ენა და ქართული ლიტერატურა - დამოუკიდებელი საგნების სწავლების უკელა ეტაპზე; კრთ საგნად მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე წარმოდგენილი და, სამწუხაროდ, აქ იღავხება ინტერესი საგნისა ქართული ენა, და რაკი ასეა, ამ

## უაქტობი დედაენაზე

საკრისადმი ინტერესით სკოლაშიც დაქვეყნილა. ეს ჰქონდა 1991 წელს მისაღებ გამოცდებზე შემოთავაზებული მოდელი. არსებობით სიახლე ის იყო, რომ წერით გამოცდაზე აბიტურიენტს ქართული ენის საკითხების ცოდნა მოეთხოვებოდა (ერთი საკითხი ქართული ენიდან იყო). შედეგიც სასურველი გამოდგა. ნაცელად იმისა, რომ ეს სიახლე დაწერილობური (შეიძლებოდა გემზე სჯელა დახვეწის, გაუმჯობესების თაობაზე). წელს იგი ხელადებით უარყვეს. ქართული ენის სპეციალისტების აზრიც არ გათვალისწინეს. ქართული ენის სწავლების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი უარყეავთ რაღაც კერძო მოსაზრებით. საზოგადო ინტერესი ისევ პირადულს შეეწირა.

მისაღებ გამოცდებზე ასე ვრცლად იმიტომ შეეჩერდით, რომ ეს ქართული ენის სწავლების უწყვეტ პროცესში ის რგოლია, რომელიც გაელენას ახდენს როგორც წინა, ისე მომდევნო ეტაპებზე. განათლების სამინისტრომ და ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებულმა ქომისიებმა (როცა შეიქმნება) ამ საკითხს საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ.

ქართული ენის სწავლებაზე ფიქრი სხვა პრობლემებსაც აღძრავს. თუ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, ამ პრობლემებს მოევლება.

ერთია: დღეს, უმძიმეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ეითარებაში, შეიძლება განმეო თქეას, რა დროს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და ქართული ენის დღეათ. მწერალთა ყრილობაზე მსგავსი რეპლიკა გაისმა მწერლობის მისამართით. მერწმუნეთ, ყოველი დღე საქმეს ართულებს; მოსაგარებელი საქმის ერთი დღით გადადებაც კი თვეობით გამოსასწორებელ საქმეს გაგეითუჭებს... და როცა, დღითისა და ერთს შეწევით, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება, გეოანდა არ იყოს „თითოზე ქმნანი“.

„საქართველოს რესპუბლიკა“,  
31 ოქტომბერი, 1992



## კართული ენის სახალხო განათლების აროგრამა გეგმის დღეს ხვალ

80-იანი წლების დასასრულის ქრისტიან უმნიშვნელოვანესი მოედნა იყო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება. იღება ამგვარი პროგრამის შემუშავებისა ბესარიონ ჯორბეგაძეს უკუთხის რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელობის ხელშეწყობითა და თანადღომით მომზადდა და 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა პროგრამის პროექტი. უაღრესად აქტიური განხილვა 9 თებეს გაგრძელდა. პროგრამის ცალკეული პუნქტების განხილვის დამტკიცებამდე დაწყო 1989 წლის აგვისტოში დამტკიცდა და გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. სამწუხარიდ, მაღვე და ეკიურულება ამ პროგრამის არსებობა. ქართული ენის წინაშე დასმული პრობლემები გამრავლდა, გართულდა.

1994 წლის ოქტომბერში ბესარიონ ჯორბეგაძის საზოგადოებამ რადიოში, ტელევიზიონითა და პრესით გააქცია განცხადება:

### „ბესარიონ ჯორბეგაძის საზოგადოების განცხადება“

ქართული ენის უუნიკვიონირების, შესწავლისა და სწავლების წინაშე დამტკიცებას პრობლემებისა უცილებელი გახადა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება (დამტკიცდა 1989 წლის). ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა მიმმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და პერიოდურმა კოსარებამ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დაუიწყებას მისცა. გაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით ასეთი უგულისყურო, უარისტული, უდარადველი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, ამჟამად რომ არის, ბოლო ათწლეულებში არ ყოფილა განუკითხავად ირლეგა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები პრესში, რადიოსა თუ ტელევიზიაში, ნებისმიერ დაწესებულებაში: სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სასწავლებლებში შესუსტდა, ანდა საკროხდ იგნორირებული იქნა ქართული ენის სწავლება არის მცდელობა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღვიტა გამოიცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩაიკეთა შეიცვალოს, ანდა საკროხდ გაუმჯდება.

მიუმართავთ კველის, ეისაც ეს შექმნა:

დაუუფრენებლივ ამოქმედდეს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა წინაღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიურად შეიძლება ისე დაზარაღვეს ქართული ენა, რომ წლები დასჭირდეს წამხდარის გამოსწორებას.“

გაზეთ „ობილისში“ (4 ნოემბერი, 1994 წ.) საპასუხოდ დაიბჭიდა

მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის წერილის სამაურიც „დაკვეთობოთ, ახალ რედაქციას“: „პრესაში გამოქვეყნდა ბესარიონ ჯიორგენაძის საზოგადოების გამგების განცხადება, რომ მოღონი წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კონომიკური კოსტურის გამო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დაეწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს ამასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის პრეს-სამსახური განმარტავს, რომ 21 ოქტომბერის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ი. მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დაისახა დონისძიებაზე ამ კომისიის შემდგომი საქმიანობის უზრუნველყოფისა და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქციის მოსამზადებლად“.

მოუხედავად იმისა, რომ საპასუხო წერილში რამდენიმე უზუსტობაა, არსებოთა ის, რომ ბატონი ი. მენაღარიშვილის თაოსნობით დაიწყო ზრუნვა ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო პროგრამის გაციცხლების შესახებ. ამის შედეგი იყო ის, რომ გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის, ბატონ კ. შევარდნაძის, განკარგულება (1995 წლის 27 იანვრისას):

„უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რაც დღევანდველ პირობებში არსებოთად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკუიდრებას, მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას.“

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თავმჯდომარეობით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

- თუ თვის ვადაში დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება;

- ერთ თვის ვადაში შესათანხმებლად წარმოადგინოს და შემდგომ დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა.

3. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ი. მენაღარიშვილს“.

მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი გვპირდებოდა, რომ სწორედ ეს

## გიორგი გოგოლაშვილი

კომისაა შემოუშენებდა ახალ რედაქციას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისას.

როგორც ჩენითვისაა ცნობილი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიამ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად უკვე შემოუშენება ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამების ახალი რედაქცია, რომელიც უნდა წარედგინოს მინისტრთა კაბინეტს.

კომისიერებთ, რომ ამ საქართველოს დაბრკოლებები აღარ შეხვდება და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემდგომ სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაემუქრება, რომ სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფო კურსების საგანი გახდება.

„ბურჯი ქრისტიანი“  
ივლის-აგვისტო, 1995 წ.

ო, ენავ ჩემო..



თბილისის ქუჩებში

„ბურჯი ქრისტიანი“  
ნოემბერი, 1995 წელი

## პიზეიმათ ქართული ენის დღე...

14 აპრილი ქართული ენის დღე. წელს მეოთხეუდე ერთობის პრეზიდენტი, რადიოთი თუ ტელევიზიონით სათანადოდ აღვნიშნეთ; პატივი მოუაგეთ 1978 წლის 14 აპრილს, იმ დღის გმირებსა და სამაყოფებელის; შეესახენეთ მეოთხეულსა თუ მსმენელს, რამდენი ლექსი დაწერილა, რამდენი სიმღერა თქმულა დედაქნის შესახებ. ეს იყო და ეს— მეტი რა უნდა იყოს, შეიძლება უცმომწყრეს ენის და მართალიც იქნება, რადგანაც ქართული ენის დღე ჩეულებრივ საკალენდრო დღედ გაქციეთ, წარსულის გასახსენებელ საზოგადო დღედ; და ისეთივე უფროული თარიღის სახე მივეცით, უამრავი რომ გვქონდა კომუნისტურ ეპოქაში (მელიორატორის დღე, გაჭრობის მუშავის დღე და მისთანანი)...

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ახლახან ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსელაში ასეთი რამ ითქვა: იმდენ მაქს, 14 აპრილი ქართული ენის დღედ არ დარჩება, რადგან 1978 წლის 14 აპრილი უფრო მეტა, კიდრე ქართული ენის დღეობისე გამოვიდა, ის ისტორიული თარიღი ამგვარი დღის დაარსებით გაერთიანებულეთო... მართალია, ჩემთვის მოლად გასაგები და მისაგები არ იყო აზრი ქართული ენის დღის 14 აპრილთან დაშორებისა (თუ საუროვნეულო გაუმებისა), მაგრამ როცა ამგვარი აზრი ჩნდება და სურვეილიც არის მისი მსმენელამდე მიტანისა, როგორც ჩანს, საამისო საფუძველი არსებობს: მოგეწყინდა პომეზური ზარ-ზემები, საქმე მოგეწყნატრა...

არადა, როცა ქართული ენის დღის დაარსების იდეა გამნდა, სწორედ საქმე იღულისხმებოდა უპირველესად... გაეხსენოთ:

ქართული ენის დღის დაწესებით მოხდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი ჟუნქტის რეალიზაცია. რა იყო აზრი და მიზანი ამგვარი დღის შემოღებისა? ეს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში გარეულებით იყო ჩამოყალიბებული ამ დღეს შევამდება, თუ რა გაეკრდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში; გამოიცემა ქართულობით გაზეოთ „დედაქნა“.

გთხოვთ მიაქციოთ უურადღება: ეს არ იყო საზეიმო დღედ გამიზნული; საქმიანი დღე უნდა ყოფილიყო — საანგარიშო დღე— ერთია და ქვეყნის წინაშე ანგარიშით უნდა წარმდგრარიყო ქართველი კაცი, წლის განმავლობაში რა გაეკრთა დედაქნის სასიკუთრედ; რა ერთ შეძლო, ერთ მოახერხა და სამომავლოდ რა გეგმები დაისახა...

ეისაც ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ხსენება შემორჩინა, ეისაც ის ენთუზიაზმი და აფილტრაჟი ახსოებს ამ პროგრამის მიღებას რომ ახლდა, დამეთანასმება, სულ სხვაგარი იყო იმდებით ისეთი შეაბეჭდილება მრჩება, თითქოს სახელმწიფო პროგრამიდან ერთი პენქტი შესრულდა მხოლოდ - დაწესდა ქართული ენის დღვე დაწესდა და, სამწუხაროდ, ამით დამისაერდა, ფაქტობრივ, ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა მოგვარების საშეც: ქართული ენის პროგრამა ქადალდებულ დარჩა - ქადალდებულ დარჩა ის ქადილი და დაპირებებიც, საქეცვნოდ რომ გამოითქვა პროგრამის პროექტის განხილვის დროს თუ მიღების შემდეგ.

ქართული ენის პროგრამა 1989 წლის აგვისტოში დამტკიცდა სამთავრობო დადგენილება ყველა იმ ორგანიზაციას, ეისაც პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა მოგვარება მოეკითხებოდა, აედლებდა: 1. - უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროთვით შესრულება; 2. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, რომ თვის ედამი დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს მინისტრთა საპარმინისტრული წინადადებები, მათი რეალიზაციის გადების ჩეუნებით. შესრულებაზე კონტროლიც იყო დაწესებული...

რადგანაც უცნაურად მოგეეჩენის, იმ პერიოდში საოცრად აქტიური და დაინტერესებული ჩანდა საზოგადოება ამ პროგრამით გაცილებით მეტ პატივში იყო ქართული ენა, გაცილებით მეტს უზრუნველით მისი სიკეთისების, ეფირე დღეს... ჩევნი ფსიქოლოგიდან გამომდინარე, არც მიკირს: მავანსა და მავანს საკუთარი სკამის უსაფრთხოებაზე ზრუნვა აიძულებდა, შეესრულებინა სამთავრობო პროგრამით მასზე დაკისრებული საშე - უბედურების ტოლიასია, როცა ქართველ კაცს ზემოდან დაგალება სჭირდება, შენს ენას პატივი ეცი, მოუარე და უპატრონევო...

დიახ, მათების, ეინც ქართული ენის პროგრამა ჩაიფიქრა და შეაღვინა, ეს იყო ერთადერთი გზა დედაქის სასიკეთო საქმეთა კეთებისა, რადგან გვჯეროდა და ახლაც გვჯერა, რომ ცალკეულ უწყებათა თუ ორგანიზაციასთა ხელმძღვანელებს თუ „ზემოდან“ არ მიუთითეს, არც დედაქა ახსოეთ და არც დედასაშიშილო... „ზემოდან“ მითითებისა, დაგალების მეოთხდი იყო საჭირო, ქართველი თანამდებობის პირი ერთვნული საქმის სასიკეთოდ რომ ამოძრავებულიყო...

და რამდენადაც პარადოქსულდად უნდა ეცერდეს, შეებით ამოისუნოს ქავანმა და მავანმა, როცა ის მთავრობა, რომელმაც ქართული ენის სახ-

## ფიქრები დედაქაზე

ელმწიუთ პროგრამა მიიღო (1989 წელის), შეაცვალა. შეკბით ამითისუნიკა არა იმიტომ, რომ ეროვნული მთავრობა მოუიღა, არამედ იმიტომ, რომ ძელი მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამის შესრულებაზე პასუხს აღარ მომიტხოვენ. არ გაჭარბებ—

ანბანური ჰემიარიტებაა: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არც ერთი მთავრობისა არ არის, ის ეროვნული პროგრამა და ერის საარსებო ინტერესებს უნდა ქმისახურებოდეს; კოელგეარი მთავრობა გალდებულია, გულისყრით მოექცას და ხელი შეუწყოს მის შესრულებას.

ქართული ენის პროგრამაში არ ყოფილა ფაქტობრივი ისეთი საკითხი, რომელიც აქტუალური არ იყოს დღესაც; რომელის მოგვარება გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენდეს, იქნებ დადგა დრო (აღმას, დაგვიანდა კიდეც), სერიოზული ყურადღება მაუქცეს ამას. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევამ დედაენისადმი ზრუნვა და ყურადღება უნდა გააათეკოს—

არ მინდა ისე გაეიგოთ, თითქოს არაფერი კეთდებოდეს დედაენის სასიკეთოდ. მაგრამ კეთდება ის, რაც პროგრამის შედგენამდეც კეთდებოდა: იღეწის და ზრუნვას ის, ვინც მანამდეც არ იშურებდა ძალას ამ სასიკეთო საქმისათვის... მასობრივი ხასიათი კი ამგვარ ზრუნვას ეკრ მიეცა; საქვეუწი საქმედ ეკრ ვაქციეთ დედაენაზე ფიქრი...

არადა, ამას ისახავდა მიზნად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. უნდა განახლდეს და ამოქმედდეს იგი. მაშინ იქნება გამართლებული ქართული ენის დღის არსებობაც, მაშინ ჩამოვლება ამ დღეს უფერულობის კლიფერი, მაშინ იქცევა საქმიან დღედ!

„ფერა ქამარება“

15 აპრილი, 1993 წ.

## ვოქვათ გადახდილად

შეუძლია ენას დამცირებამ დაუ-  
გაწერან ეს სტატია თორმე ჩვენ  
განა და კალამი განა?“  
ოდა

მოღით, ვიყოთ გულახდილი, აეს უუწოდთ აერ და კარგს თავისი სახელი  
დავარქეათ.

დღეს რომ ქართველს უთხრა, ქართულ ენას პატიეს არ სცემო, ვფიქრობ,  
ამაზე დღიდ შეურაცხყოფას ვერ მიაყენებ. იწყებს და მიზეზიც ქნება  
განაწყენებისა. მაგრამ გულზე ხელი დაეიდოთ, დაეფიქრდეთ და გულახდილი  
პასუხი საკუთარ თავს მაინც უუთხრათ: ვაკეთებთ კი იმას, რასაც ჩვენ  
ქართველობა გვავალებს დედაენის წინაშე? ნებისო თუ უნებლიერ არ  
შეგვიძლახავს ლირსება ქართული ენისა, არ აღვდგომივართ წინ მისი  
სიკეთისათვის ზრუნვას?—

ნუ გაევეჯიბრებით ერთმანეთს ლამაზისიტყვაობაში — ვინ უკეთ შეეაქებთ  
დედაენას. ტყუილად გაეირჩებით, ვერ ვიტყვეით უკეთესად, ვიდრე ბრძანეს  
იღლამ, აკაკიმ, იაკობმა, ვაჟამ... მრავალი სხვაც შეგვიძლია გაეიხსნოთ. ვიცა,  
გამინაწყენდებიან, არ სიამოენებს წიგნიურ კაცს, ვინმე რომ წიგნისკენ  
მაახედებს (სხვისი მისათითებელი რა გვჭირსო), მაგრამ, მოდით, კოდვ  
ერთხელ გულზე ხელი დაეიდოთ და საკუთარ თავს გამოვეტყდეთ: გვახსოვს  
კი ის, რასაც ბრძანებდნენ ჩვენი კლასიკოსები დედაენის თაობაზე? როგორ  
იცავდნენ მას, როგორ ებრძოდნენ ქართული ენის ლირსების შემდახველ  
ჭაველგვარ გამოვლინებას? ანდა: როგორ იცოდნენ ქართული, როგორ  
დაობდნენ, კამათოდნენ, პაექტობდნენ დედაენის პრაქტიკულ თუ თეორიულ  
საკითხებზე?... არ იყენენ ისინი ენათმეცნიერები: მამულისმოყვარენი იყენენ,  
ილიას სიტყვით რომ ვთქვათ. მამულის სიყვარულის უპირველესი გამოვ-  
ლინება დედაენისადმი უანგარი სამსახურია, შეძლებისდაგვარი ზრუნვა.

ვიყოთ გულახდილი და საკუთარი თავისწინაშე მაინც ვაღიაროთ დედა-  
ნის სამსახურში ვდგრავართ ჩვენ იმ გზაზე, ჩვენმა წინაპრებმა რომ  
გაგვიკეალეს? ვეჭიოდ.

დიდი იაკობი ბრძანებდა ქროენებას სამი უმთავრესი ბურჯი აქესო —  
მამული, ენა და ერთოვნული სკოლა. ერთოვნული სკოლა დედაენის სწავლების  
უპირატესობაზე უნდა იყოს დაფუძნებულით. „დედაენის სწავლების ამ

გერად მოწყობას თხოულობს არა მარტო ინტერესები, ქართულის წერა-და-მიმღევას გაურცელებისა, რაიცა არსებოთ საჭიროებაა ხალხისათვის, არამედ სახელმწიფო ინტერესებიცა – მეტყვან, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ რა კეთდება საიმისოდ, რომ დედაენამ (ისევე კლასიკოსს რომ დავესესხოთ) გერად არ იგრძნოს თავი ქორვნულ სკოლაში?.. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამ საგნის პრესტიჟი ამაღლდეს სკოლაში?

ენც გასულ წელს მისაღებ გამოცდებზე იურ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დამეთანებება, რომ აბიტურიენტებმა ქართული ენის პრაქტიკული თუ თეორიული საკითხების გაცილებით უკუთხს ცოდნა გამოიყენება, ეიდონ, წინა წლებში, ფაქტია, აბიტურიენტთა ცოდნის დონის ამაღლება წერით გამოცდაზე ქართული ენის საკითხების შემოტანამ გამოიწვია. მარტივი ჰქონილობაა: გაისარდა მოთხოვნა ქართული ენის ცოდნისა – ამაღლდა აბიტურიენტთა ცოდნის დონეც.

დღეს კი ორწლიანი დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ხელადებით უარყოფით უარსოთ. საზოგადოებისათვის გაუგებარი მიზეზების საფუძველზე: განვითარებოთ მაინც, რა ხდება და რატომ?

რაგინდა მწარე სიმართლეც იყოს, ესც ფაქტია: აბიტურიენტთა ერთმა ნაწილმა უკეთესი ცოდნა გამოიყენინა ქართული ენისა, ეიდონ ზოგმა გამომცდელმა.. ნუ გამინაწყვნდებიან კოლეგები, მესმის, რომ მათთვის კონკრეტული კედებისა და პედაგოგიური საქმიანობის სფერო დაშორდა ქართულ ენის: ანდა, კერძოდ საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს. მაგრამ, მოღით, ნუ დავიშურებოთ ორივე დღეს, აღყიდვით ქართული ენის ის ცოდნა, რასაც საშუალო სკოლის პროგრამები ითვალისწინებს, თუ გეინდა, რომ მისაღებ გამოცდებს ეკისახუროთ.. ჩვენი (სპეციალისტების) საქმის გათვალისწინების მიზნით ნუ უარყოფით ერთეული სკოლის ძირები საგანს..

ვისაც საშუალო სკოლის მაღალ კლასებში შეუხდავს, დამეთანებება, რომ მოსწავლეები მორთადად სწავლიბრი იმ საგნებს, რომელთა ჩაბარებასაც აპირებენ მისაღებ გამოცდებზე. ამიტომ მისაღებ გამოცდებზე ქართული ენის ცოდნის სერიოზული მოთხოვნა ამ საგნისაღმი ყურადღებას სკოლებშიც გაასახეობს; გაზრდის მასწავლებლითა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობას დედაენისადმი.

ეიყოთ გულახდილი და შშობელითა, მასწავლებლებთა თუ რეპეტიტორისა კურსო ინტერესებიდან ნუ შეეხდავთ ამ საკითხს. იმ პოზიციებან დაფინანსოთ, დიდი წინაპარი რომ გვასწავლიდა: ჩეუნ კი შშობელ მამასაც არ

დაცუთმობდით ჩვენ შშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საცავთ რამ არის, სახელგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს". დედაენისადმი ჩვენი ვალი ამას გვიკარნახებს.

და კადევ ერთი ქართულ ენასა და ლიტერატურაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასული წლის მისაღები გამოცდების მოდელის თავდაცეცული მოწინააღმდეგენი ბრძანებოდნენ: „უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს შხოლოდ ის უნდა მოესთოვოს, რასაც სწავლობდა და როგორც სწავლობდა სკოლაში. ამ ელემენტარული წესის დარღვევის უფლება არავის აქეს, რაგონდ მაღალი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიების მფლობელიც უნდა პრაბნდებოდეს". არ შეიძლება არ დაუთანხმო კაცი ამ მსჯელობას. მაგრამ—

გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის ახალი მოდელი და პროგრამა მისაღები გამოცდებისა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. იქნებ გათხსენინ პოლემისტებმა ის პრინციპი, როთაც წინა მოდელს ებრძოდნენ და ავტისსან, ანდა ახალი მოდელის აეტორებმა განგვიძმარტონ: რა გამართდება აქეს პროგრამაში ისეთი ლიტერატურული ნაწარმოების შეტანას, რომელებიც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ მოსწავლეებს (თუნდაც კლასგარეშე საკითხავი მასალის შეტანა მისაღები გამოცდების პროგრამაში რამდენადაა გამართლებული)? რა ქნან იმ აბიტურიენტებმა, ვისაც მაღალკვალიფიციური რეპეტიტორით არა ჰყავს? დედაქაღალაქში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად შეიძლება მოგვარდეს, მაგრამ დედაქაღაქის მიღმა მყოფ აბიტურიენტებზე ხომ უნდა გაფიქროთ? ხელოუნივერსიტეტ ხომ არ ეართულებთ ისედაც მძიმე სიტუაციას?

გამოქვეყნებულ საერაუდო საგამოცდო საკითხთა დასახელება ასეთ კითხვასაც აღმრავს: მაღალკვალიფიციური სპეციალისტის დონის მოთხოვნებს ხომ არ უუცენებთ აბიტურიენტს?

ისედაც სიჭაბუქეჩამწარებულ ახალგაზრდობას ნუ გაქცევა დაუსაბუთებული ექსპერიმენტის საგნად!

„ლიტერატურული საქართველო”,  
10 აპრილი, 1992 წ.

## ნე ვეზუვით ეარს!

### არის თუ არა საკისრო მისაღვაი გამოსხვაში?

ჩვენ, უპირველესად, ქართული ენა და ლიტერატურა გეანტერესების საგანი, რომელიც თითქმის ყოველთვის იყო საგამოცდო საგანთა სიაში ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ ფაკულტეტზე დღეს აღარ არის ასე.

არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ამ მხრივ სრული განუითხოვთამა: რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ლიტერატურული გაცემისათვის შშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ჩაბარება ანდა შემდგომ ამ საგანის სწავლება ერთ-ერთი აუკიდებელი პირობა არ არის.

რა ხდება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში?

საბედნოეროდ, უმეტეს შემთხვევაში ტრადიციული ეითარება შენარჩუნებულია.

ამ შემთხვევაში ჩვენ დასმული საკითხი გეანტერესებს, თორებმ როგორ ჩატარდეს, რა მეოთხდით, ეს არაერთგზის ყოფილა დისკუსიის საგანი: ეფუძნობთ, „როგორ?“ – ეს სხვა თემაა: ამჯერად ჩვენთვის მთავარია საკითხი – საერთოდ არის თუ არა საჭირო მისაღვაი გამოცდები.

ზოგს საკითხის ამგერად დასმა აღბათ გააკირებებს – მაგას რა კითხვა უნდაო? არაა ასე მარტივია საქმე: 1995 წელს ქუთაისის უნივერსიტეტმა მისაღვებ საგანთა ნუსხა გაამარტივა: აბიტურიენტი აპარებდა მხოლოდ კროს – სპეციალურ საგანს. ასე რომ, ქართული ენა და ლიტერატურა მხოლოდ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ბარდებოდა... ასე ჩატარდა მისაღვები გამოცდები 1996 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფასიან სკოლოზე...

1996 წელს ქუთაისის მერიის ინიციატივას განათლების სამინისტროს კოლეგიამ მხარი დაუჭირა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე უგამოცდო ჩარიცხეა მოხდა. ამ კესპერიმენტის აუკარგზე ბეჭრი ითქვა და ითქმია კიდევ ფაქტია, ინიციატივის აეტორები კმაყოფილი არიან, რადგან 1997 წელსაც მტკარად აპირებენ სტუდენტთა მიღებას ამ უმაღლეს სასწავლებელში...

თუ გაფოთვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში ყველა გათლივებულ და გამარტივებულ საქმეს მრავალი მიმბამეცდი შეიძლება გამოტანდეს, უნდა ჰდებოდეთ, რომ ეს კესპერიმენტი ფართოდ გაერცელდება... შედეგი?

უგამოცდო ჩარიცხეულ სტუდენტებს რამდენიმე შეკითხვა დავუსეით.

ერთ-ერთი ასეთი იყო: დაასახელეთ თქმები საყეარელი 10 მწერალი და 10 ნაწარმოები. მძიმე შედეგის წინაშე აღმოვჩნდით. იმუამად ერთ ჯავახის შეილის საიუბილეო დღეები იყო და გამოკითხულთა 20-25%-მა საუკეთესო მწერლად ივანე ჯავახის შეილი დაასახელა, ერთ-ერთმა საუკთესო ნაწარმოებად ამ „მწერლის“ - მოვარის მოტაცება - საუკეთესო მწერალთა ნუსაში აღმოჩნდნენ ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ხანძოელი და სხვანი. 10 მწერლის ჩამოთვლაც ყველამ ვერ შეძლო.

უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა 10 თანამედროვე მწერლის დასახელება ვთხოვთ, ანდა ილიას, აკაკის, გაფასა და გალაქტონის 10-10 ნაწარმოების ჩამოთვლა დაკავალეთ.

მეტყვიან, ეს კურიოზებიათ და ასეთი კურიოზები ყოველთვის იყოთ მაგრამ გაეითვალისწინეთ, რომ ამჯერად საქმე გვაქს არა შემთხვევით აბიტურიენტთან, არამედ სტუდენტთან - მომგვალ ფილოლოგთან, როცა ამგვარად გასტუდენტებულ ახალგაზრდებს ჩენი ქვეყნის ისტორიიდან ეპიზოდის გახსნება ვთხოვთ, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით...

არ იფიქროთ, რომ ჩენ ვინჩეს დაუკინოდეთ, პირიქით, გრადარჩდებს ეს...

მაგრამ პასუხი გვაინტერესებს კითხვაზე: შშობლიური ენა და ლიტერატურა რომ არ იცის და თავისი ქვეყნის ისტორიაზე წარმოდგენა არა აქს, ამგვარი სტუდენტისაგან შევძლებთ ისეთი სპეციალისტის გაზრდას, XXI საუკუნეს რომ სჭირდება?...

მისაღები გამოცდები რა შუაშიათ, შეიძლება იყითხოს ვინმემ.

ჩენიდა საუბედუროდ, დამამთავრულებული კლასების მისწავლები დღეს სწავლიობენ შოთავიდ იმ საგნებს, რომელთა ჩაბარებაც მოუხდებათ მისაღებ გამოცდებზე ასე რომ, სამწუხაოოდ, მისაღები გამოცდები არის იმულების საშუალება. რომ უმაწვილი წიგნთან მიეკეთოთ და ის ელემენტარული საკითხები გასწავლით, რასაც მისაღები გამოცდების პროგრამები თვალისწინებს!

სკოლა რომ თავის სიმაღლეზე იღებს, სკოლადამთავრულებულს ატესტატში ნაწერილი შეფასების შესაბამისი ცოდნა რომ პქნიდეს, მაშინ ეს პრობლემა აღარ დადგებოდა. მაგრამ იშეიათი და ბედნიერი გამონაკლისის გარდა, დღეს სკოლებში დამამთავრულებულ კლასებში სწავლა არაა! ეს ყველასთვის ნათელია.

თუ არ გვინდა, რომ უწინგურობამ წაღევოს ყოველივე, თუ არ გვინდა, რომ XXI საუკუნეში შეგვაჩეროს, მისაღებ გამოცდებს ნუ ჰქონეთ უარს ამ ეტაპზე - დაეფაქტორდეთ ყოველივე ამაზე!

„მურვი კრიკეტისა“,  
მარტი, 1997 წ.

## უიპრეზი დაღაცნაზე

(წერილი პარველი)

ამას წინათ განათლების დაწესის ერთ-ერთი მუშაკი თავმოწონებით ამცინობდა ტკუნემაჟურნებლებს, თბილისში 70-მდე არაქართული ნოვენტი დაწყებითი სასწავლებელიათ...

ჩემი მეცობარი ასეთი ფაქტის მოწმე გახდა: ხანშემუშავები მანდილოსანი მეცობარ ქალბარონს სიამყით უყვებოდა, რომ მისი პატარა შეიძლო შევლი უკეთ ურანგულად აზროვნებს; გუშინ მოთხოვა, ჩემი მამიკო კარგად თამაშობს რობალზეო...

ქონდა კი საუკუნეელი თავმოწონებისა განათლების იმ მუშაკს, ანდა სიამყითა „ურანგულად მოაზროვნე“ შეიძლოშეიძლის ბებიას?! უნდა გეხსარებდეს ასეთი ფაქტები თუ არა? ეფიქტობთ, ეს რიტორიკული კოსტეა... პასუხის გაცემას მაინც უცდებოთ...

მე არ ვიცხობ სასწავლი პროგრამებს თბილისში არსებული სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯისას, მაგრამ თითქმის ყოველდღე ესმენდით ტელევიზიით რეკლამას, რომ არაპუმანიტარული საგნების სწავლება ამ კოლეჯში ინგლისურ ენაზე იქნებათ. რამდენადაც ჩერნოვისაა ცნობილი, კოლეჯის მოსწავლებიც და მასწავლებლებიც ქართველები არაან. რა გამოიდა: ქართველმა, რომელმაც უკეთესად იცის ქართული, ვიდრე ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები, ინგლისურად უნდა ისწავლოს... ქართველმა, რომელმაც უკეთესად იცის ქართული, ვიდრე ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები, ქართველ ბავშვებს ინგლისურად უნდა ასწავლოს... რა არის მიზანი ამგვარი სწავლებისა, ფიზიკა-მათემატიკის შესწავლა? თუ ამ საგანთა სწავლება გვხსენს, ეს ქართულად უკეთ მოხვდება; თუ ინგლისური ენის სწავლება გვხსენს, ინგლისური ვასწავლოთ...

ყოველიც ზემოთწერდი კრი საეადალო ფაქტზეა დაფუძნებული იგნორირება ხდება ქართული ენისა - საქართველოს სახელმწიფო ენისა!.. ეს გაა სათ მიღის?... რას გვიქადის?

ტაძრისკენ რომ არ მიღის, ფაქტია...

ამ ბოლო ხანებში ძალაში გახმაურდა ეწ. თერქელი უნივერსიტეტის საკითხი. ამ იდეის ძალზე მცირერიცხოვდა, მაგრამ თავამოწეველ

დამცემულთა ქრისტი არგუმენტი ისიცაა, რომ აღნიშნული სასწავლებელი ინგლისურნეონი იქნებათ. ერთია წუთით გვერდზე გადავდოთ „თურქულ უნივერსიტეტთან“ დაქავშირებული პლიოტიკური, რელიგიური, დემოგრაფიული თუ კულტურული საკითხები და ამ კუთხით დაკანახით პრობლემა: აქეს თუ არა მინიშნელობა იმას, რა ენაზე წარიმართება სწავლება „თურქულ უნივერსიტეტში“, თუ ის ქართულენოვანი არ იქნება. არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი არის კი სიკეთის მომტანი საქართველოსთვის? ჯასთვის ან რისთვის კუთხება ის? აქნებ ცოტა უფრო დრომად ჩატუთიქრდეთ, რას გულისხმობს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესიონალი სერგო ჯურიქნაძე, როცა პრძანებს: „მე იმდენად არ მაშინებს იჯარით მიწის გაცემა, რამდენადაც თუთ ამ უნივერსიტეტის გახსნის ფაქტი... როცა იყანე ჯავახიშეიღომა ქართული უნივერსიტეტი დაარსა, მაშინევე აღმოაცენეს რესული უნივერსიტეტი, სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტი... ნუ შეეცემთ პრობლემებს“. ვითომ ბატონი სერგო ვერ ჩაწედა სიღრმეს იმ სიკეთისას, რასაც „თურქული უნივერსიტეტი“ პრიზდება საქართველოს? ვერ დაინახა ის პერსპექტივა, რაც ამ იდეის აეტორ-მხარდამჭერებმა დაინახეს? მეტყველა... ისტორიაც გავიხსევთ:

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ილია ჭავჭავაძის დროს, როცა განჩდა იდეა ქართული უნივერსიტეტისა ა-ცარიზმი, ცხადია, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი იყო“ (ს. ჯორბენაძე).

რატომ?...

ანდა, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ისე თავგამოდებით დიდი ივანე ჯავახიშეიღოსა და მისი თანამებრძოლების მცდელობას ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე? გავიხსევთ, რას ამბობს შალვა ნუცუბიძე: „ოლდენბურგი, გასილიერი და სხევგი მზრუნველობითი კიბილითი გვირჩევდნენ, ხელი აგევლო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდება, ქართულ ენას არა აქეს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია; ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელია, უმქოდა საქმეა, გვეუძნებოდა ეს გულშემატკავარი ხალხი... ისინი მცირებულის კადონით ამბობდნენ: დაგვიჯერეთ, დოროს ნუ დაკარგავთ, თაქეს ნუ მოიტყუშეთთ...“ ცხადია, არ იყო ეს მოუწოდის თავგამოდება ქართული ხალხის მომავალზე ზრუნვით ნაკარნახევი...

საუბრუოდ, არ იყო ეს მხოლოდ „ოლდენბურგებისა“ და „უსილიერების“ პერსპექტივა. მაშინაც ანაგრძო ქართველი აღუდგა წინ ერთუნული უნივერსიტეტის გახსნას. ჯერ ა. ჯავახიშეიღოს მოეუსმინოთ და შემდგრ შევეცადოთ

ვუპასუხოთ კითხეას - „რატომ?“ რამდენი იყო ჩენები 1917 წელს მსეული განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს ქამათი (ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე - გვ.) სასაცილო გულებრყელითად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდომდა. რამდენი გულებრყელი დამრგებელი, ჰერი მას წაგლებული და წინასწარმეტყველიც კი, რომელიც, მათი ლრმა რწმენით, სრულიად უნიადაგო და უმეტეს განსაზღვრისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყენენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მოელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველობისთვისავე დამზადებულიად პქნდათ პრესაშიც კი აღმარტინული კულტურული დაქცეულების მეტი არაერთი საქართველოს მეცნიერებული აზოვენებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელით... ეითომ ცდებოდნენ ეს „უანათლებული ქართველები“, თუ შეგნებულად სხვის წისქერილზე ასხამდნენ წყალს? სამწესარიდ, როგორ პერს მათი მოზიცია აურესული უნივერსიტეტის იდეის მქადაგებელთა და მხარდამჭერთა პოზიციას. მეორდება ისტორიას...

ასეთი ფაქტიც გავიხსენოთ: ეროვნული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგენი მონდომებული იყენენ, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტი გახსნილიყო კავკასიის უნივერსიტეტს სახელმწიფო დააფინანსებს (საუბარია რუსეთის მმერიაზე). ქართველი უნივერსიტეტი თქვენ უნდა შეინახოთ - მეგობრულად” ურჩევდნენ... ფაქტია: კავკასიის უნივერსიტეტი რუსულენოვანი იქნებოდა...

ზოგელ კითხვაზე - „რატომ?“ - ერთი პასუხია: ქართული ეროვნული თეატრმციფადობის შენარჩუნებისათვის მხოლოდ ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო საქორო... აქედან გამომდინარე, ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ეწინააღმდეგებოდა ის, ეისაც ეს არ ამღევდა ხელს... ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის იბრძოდა ის, ფისთვისაც ჩემი ეროვნულობის შენარჩუნება სისხლხორცული საქმე იყო...

იცოდნენ ეს იღთა ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ; იგანე ჯავახიშეიღმა და მისმა თანამებროლებმა და ქართული ენა უმაღლესი განათლების ქნად დაამკეთრეს საქართველოში. დღეს კი? ამ დიდი მონაპოერის ხელიდან გაშვება არა მხოლოდ ჩემი დიდი წინაპრების დეაწლის „უარისულა, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს...“

ნუ ჩაეთვლით ამ აზრს საკითხის მუქ უკრებში დახატვად. დაეცემაქრდეთ, რატომ ისრყდება ასეთი კატასტროფული სიჩქარით არა-ქართულენოვანი სასწავლებლები (საბაკეტეო ბაღიდან მოყოლებული უნივერსიტეტიამდე); ეინ

არის მისი კონტრუქტორი და ხეალ-ზე კართულენოვან სასწავლებლებს გაუწენენ თუ არა კონკურენციას ისინი?..

„პერისტროკის“ პერიოდში რუსულ სკოლებში ქართულ ბავშვთა სწავლის პროცედურა რომ წამოიჭრა, ამის დასაბუთებას მეცნიერებულად ცდილობდნენ.. რა მოხდა შემდეგ? რუსული ენა ინგლისურმა (თუ სხვა ეკრობულმა) ენამ შეცვალა და ეს ბუნებრივ და, უფრო მეტიც, სასურველ შედეგად მიეღიდა, ვითომ არის განსხვავება იმაში, ქართულ ენას საქართველოში რუსული დაჩარაეს, დააბეჭავებს თუ ინგლისური? უფრო დიდი საფრთხის წინაშე ხომ არ ვდგავარ? ამიტომ გაცხადება იმისა, რომ „ეს არ არის თურქელი უნივერსიტეტი, ეს იქნება ინგლისურენოვანი უნივერსიტეტი“, თავისმართლებაა თუ თავისმოტყუება? ვიმუორებთ, ქართულს ინგლისური დაჩარაეს თუ თურქელი, პრინციპულად რა განსხვავება? ვითომ არ იცის ეს იმან, ერც ამაყობს არაქართულენოვანი სასწავლებლების არსებობის ეისაც უხარის, ჩემი შეიძლო არაქართულად აზროვნებსო? თუ არ იცის, უბედურებაა: თუ იცის - უფრო დიდი უბედურება..

„უნდა გახსოვდეს, არა ენა წახდეს, ერთც დაეცეს!“ - არ არის მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა. ეს ჰყებმარიტებაა და ამ ჰყებმარიტების ძალა არა ერთმა და ორმა ენამ და, შესაბამისად, ერმა იწერია თავის თავზე ქართულ არ არის გამონაკლისი და, ღმერთმა დაგეიფაროს, მაგრამ თუ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა, ეს ლამაზი პოეტური ფრაზა ჰყებმარიტებად იქცევა..

ეიმუორებ, ღმერთმა დაგეიფაროს, მაგრამ იგივე ღმერთი დაგესჯის დედანისადმი ასეთი უგულისური დამოკიდებულებისათვის.

არა მხოლოდ სასწავლებლებში, თითქმის ყველა დონეზე და ყველან შემთხვევა უგულისური და უპარიეცემული დამოკიდებულება დედანისადმი. იქ და ტელევიზორის ურჩევნა ბედნიერი „უკენტი“ გეისურების ვიდრე ქართულად დაგევეშეიდობოს; 160 სერიან უცხოურ ფილმს ვთარგმნით ქართულად და ყურს არ გვჭრის უცნაური და უხერხელი ქართული კაცი პრეზიდენტობაზე ფიქრობს და ჩიქორთულით გვესაუბრება მაქანმა და მაქანმა უურნალ-გაზე იყიდების გამოსაცემი უული იშვევა და წალეკა ქა ქვეყანა მახინჯა ქართულმა და ბილისიყტეაობამ (აღარას გამომარტინების აბრებზე)...

ამგეარი სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება..  
ეინაა გამკითხავი?

ანდა, არსებობს კი რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც საქართველოს  
მოქადაქეს სახელმწიფო ენის მიმართ დაავალდებულების? სახელმწიფო  
ენისადმი უგულისყურო, უპატივცემლო. მტრული დამოკიდებულებისათვის  
პასუხს მოსიახოვს?

კარგა ხნის წინათ ერთ-ერთი სოლიდური დაწესებულების ხელმძღვანელის  
ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა შევახსენე და მიპასუხა, ის პროგრა-  
მა ძევლი მთავრობისა იყოთ... ეს არ არის მხოლოდ იმ ხელმძღვანელის აზრი.  
მაგრამ, საერთაშორისო, ფაქტია, გეაზიწყდება, რომ სახელმწიფო ენაზე ზრუნ-  
ვა უკედა მთავრობას ვრალება... პროგრამა-დადგენილებების მიერწყება იმას  
აძლევს ხელის, კისაც დედაენის წინაშე მოვალეობისაგან თავის დახსნა  
სურს...

არადა, ყოველდღიურად იმდენი შეიძლება დაუშავდეს დედაენას, რომ  
ათწლეულები დასჭირდეს მის გამოსწორებას (თუ საერთოდ გამოსწორდა!...  
დროა, გონის მოვეგოთ, ჯერ არ არის გეიან!...

*ძროში*, №7-9, 1996 წ.

ო, ენავ ჩემო!..



საქართველოს გზებზე

„ბურგი ეროვნებისა“  
ოქტომბერი, 1996 წელი

## ფიქრის დაუცვაზე

(წერილი მეცნიერების)

ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში, ეწ. აპერესტროიკისა “პერიოდში, მათ-ბრიეთ ლაშქრობა დაიწყო იმ ქართველთა წინააღმდეგ, ვისი შეიძლებიც რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. ამ ფაქტმა უპირველესად პოლიტიკური ხასიათი მიიღო – რუსულსა და რუსებს ებრძოდნენ ამით. შესაბამისად, მოღალატედ რომ არ მონათლებიყო, არაერთმა ქართველმა გადაიყენა ქართულ სკოლაში გარესების გზაზე მდგარი ქართველი ბაეშე. არაერთ რუსული სკოლა დაიხურა ამ მოძრაობის ფამს...

გამოხდა ხანი. დაინტერა საბჭოთა (ანუ რუსული) იმპერია. გაქნა დაინტერესებაც იმ ფაქტისადმი, სწავლობს თუ არა ქართველი ბაეშე რუსულ სკოლაში... და, საერთოდ, ნაკლებად ექცევა უურადღება იმას, როგორია ქართული ენის პოზიციები საქართველოს განათლების სისტემაში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენთან მომრავლდა არა-ქართული სასწავლებლები, დაწყებული საბაეშეო ბალებიდან, დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლებით. დაახ, აშკარაა განათლების სისტემაში ეროვნული ენების მოძალუება. ეწ. თურქელი უნივერსიტეტის პრობლემა არ იყო გადაჭრილი და ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეა გამნედა ქუთაისში (ამის თაობაზე არაერთგზის განაცხადა ქ. ქუთაისის მერჩი ბატონში თ. შაშიაშვილმა). ჩვენში მიმბაცელობის ძლიერი სენის „წყალობის“ ხეალ-ზე ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის აღმიაცნდება; მათ კონტიგენტი საქართვი არ ყოფილია: უურადღება მიეკვითო იმას, თუ როგორია ლტოლება იმ სპეციალობებისაკენ, „საერთაშორისო“ რომ ურევა სახელწიოდებაში – საერთაშორისო სამართალი, ურთიერთობები, ეკონომიკა, ბიზნესი, უურნალისტიკა... (ამის გამო მოსწრებულად იხუმრა ერთმა: დავარქეათ საერთაშორისო მათემატიკა, ფიზიკა და გაიზრდება კონკურსი მისაღებ გამოცდებზე...).

ქართველი ზურგის შეაქციეს ქართულს და უცხო ენაზე მიღებს განათლებას.

ხმამაღლა გამოიერქეთ აზრი არა-ქართველენოვან სასწავლებელთა მოქარნებით მოსალოდნენ საშიშროებაზე, ეს პოლიტიკურ შეცდომად საგვითავალებს და ისოლაციონიზმისაკენ მიმავალ გზად მიიჩნიეს ამგერა პოზიცია ჩვენმა ოპონენტებმა.

არის კი ასე?

## ფიქტურის დედამიწაზე

საერთოდ, აქეს კი მნიშვნელობა იმას, რა ენაზე მიიღებს განათლებას? მოზარდი? იქნებ ინგლისურ თუ რუსულ ენას მეტი შესაძლებლობა აქეს, იტყვიროს განათლების მისია? აქედან გამომდინარე, იქნებ დროულად კაფექტოთ და არ დავაგვანოთ ინგლისური (თუ სხვა) ენის დამკავშირება ჩეენს სკოლებში სწავლების ენად?— იქნებ დროზე ვთქვათ უარი ქართულ ენაზე?

როგორც ჩანს, არ არის ასე—

იაკობ გოგებაშვილის მოუსმინთ: „გაგიონიათ მებალე, რომელიც უზომოდ მონატრებული ყოფილობის ხილის უხევი მოსავლისა და ხეხილებისათვის კი ძირი და ფეხსყები ეთხაროს, უფასებინოს, ეხმოს?— გადაავლეთ ახლა ყურადღებით თვალი ჩეენის მოზარდის თაობის აღზრდა— სწავლასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩეენ შორის მოპოვებიან არა ერთი და ორი შშობელნი, რომელიც ამ საარაკო, არ გაგონილს მებალეს მოგაგონებენ.— არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტონებს რომელისამე უცხო ენაზედ, ქართველისა კი ჭავჭავაც არ ისმისა შშობლები, რომელიც თავისს შეიღებსა ზრდიან გარეშე დედაქნის გავლენისა სწავლიზე კავშირისა მათსა და საშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყნას მამულიშეიღებს— ეს შშობლები დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე”.

იაკობ გოგებაშვილი გამიარტას კილევაც, თუ რატომ ფიქტობას ასე— დედა—ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკაეშირებული. იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა აღყილად და უნებლად შეიძლება. მას აქეს დრომად გამდგარი ფეხსყები ადამიანის ტეინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძეალსა და რბილში, მოვლის მის ბუნებაში”.

დიდი მამულიშეიღო იმ შედეგებზეც მიგენიშნებს, თუ რა შეიძლება მოყვეს აღზრდის პროცესში დედაქნის უგელებელყოფას: დედაქნის გაცვლა უცხო ენაზედ („) ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზერბრივ ძალას („); იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნულ აგებულებასა და მის მეტყველების შეა და ამ წინააღმდეგობის წყალიზით ეს პირი რამდენსამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენოსად იყო დაბალებული გამოეს მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლები ქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუაციებზე ჩამოხტება— დავიდო ჰერნდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუაციებზე ჩამოხტება— დავიდო ჰერნდა უბრალო ნიჭის დამოუკიდებელს გზას სასწავლებელში, ეს მარტო დედაქნის სიყვარულით არ მოგედის. ეთხოულობით და ენატრულობით

ამიტომაც, რომ უდედაქნოდ გონების გახსნა ბაეშეისა ჟოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის გონების დაჩაგერისა. გონების დახშეისა, დათრგუნებისაა. გათასსირებისა და განა ეს სასურეელია ეისთეისმე?”

ამ თემაზე აკაკი წერეთელსაც უფიქრია. ესეც წავიკითხოთ და მერე მკითხელო, ერთად გავაკეთოთ დასკვნა: „უსუსურ ბაეშეს რომ რის ნაცვლად სუკა მწვადები დააძლოთ და დაასაკეტულ ვაკეაცს კი რის მეტა არა მიაკაროთ რა, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი მასპინძლობა იქნება და რგების მაგიერ აწყენს კადეგაც— ყმაწევილს დედის რძესაეთ უნდა შეერგოს და შეეწოვოს პირეელი დაწებითი სწავლა— ამისათვის საჭიროა, რომ ახალგაზრდა მოსწავლემ თვალი გაახილოს და გულისყური გაიხსნას იმ ხელსაწყოს წევალობით, რომელიც უფრო გადევილება, კი იწყოს სწავლა იმ ენაზედ, რომელზედაც იმას პირეელად ხმა ამოულია და შეუთეისებია”.

ამ წერილში („ჩვენს მშობლებს“) აკაკი ერთ საგულისხმო ამბავსაც ჰყუბა: ჩეტარსსენებული გარანცოვის დროს ერთმა დირექტორთაგანმა კოცებულ შენიშვნა, რომ ქართველს ყმაწევილებში ზოგი დიდი ნიჭის მიქნდა და ზოგი კი სულ უნჯობას— საშუალოს ეერსად პხედავდა. დაუკირდა და რა გამოდგა ის, რომელსაც დედანაზე ესწავლა სახლშიერ წერა—კითხეა, ქართულით გავტეხა თვალი და გაეხსნა გულის უკრო, გაუჭირებლად გადაღილდა უცხო ენაზე და უცხო ენის წყალობით ადგეილად ითვისებდა სწავლა—განათლებას და ეინც პირდაპირ იწყებდა უცხო ენის სწავლას, ის კი გულისყურს პკარგავდა— ეს ჰერმარიტება დღესაც არა აქეთ შეგნებული ქართველ დემატებს“. ეს XIX საუკუნეში იწერება! ეკი რომ, დღესაც არა აქეთ შეგნებული ქართველ დედ-მამებს ამ ჰერმარიტების არსო...

ვინმემ შეიძლება გვითხროს, იღლია, აკაკი და იაკობი XIX საუკუნის მოღეაწენი არიან და მათი აზროვნებაც XIX საუკუნის აზროვნებაა; XXI საუკუნის კარიბჭესთან ამის ქადაგება ჩამორჩენილობის დასტურია და მეტა არაფერით. თქვეს კადეგაც, იზოლაციონიზმისკენ უბიძებებ ქვეყანას დღდაუნის ამგვარი ქომაგობითო.

ვერ ერთი, ის, რასაც იღლია, აკაკი და იაკობი ბრძანებდნენ, არ იყო მათი მწერლური ფანტაზიის ნაყოფი; ისინი ბრწყინვალედ იცნობდნენ იმდროინდელ რეს თუ ერთობელ მცნობერთა ნააზრებს და მხოლოდ იმას ემცარებოლნენ: ამის ნათელსაყოფად შეიძლება გაეიხსენოთ იღლიას წერილი იანოგესკის სამასუხეოდ, იაკობის პურიზი ერთეულებისათვის თუ აკაკის ჩეტანის მშობლებს“. სხვაც შეიძლებოდა, მაგრამ მაგალითისათვის ესეც კმარა... ეს ერთი მსარეა საკითხისა.

## ფიქრები დედაენაზე

ერთ ენათმეცნიერების, ფსიქოლოგისა, პედაგოგისა თუ გენეტიკის დღევანდელ მიღწევებს იცნობს, დაცემანისმება, რომ ის, რის შესახებაც ჩვენი კლასიკოსები XIX საუკუნეში წერდნენ, დღესაც უასეულია; დღევანდელობა ადასტურებს მის ჰეშმარიტებას, თანამედროვე დონე მეცნიერებისა კიდევ უფრო აღმაცევებს და აფართოებს ამ ცოდნას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცნობთ სერომზელ მტკიცებას საპირისპირო თვალსაზრისისა, თორემ არამეცნიერული ცკონმიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით შემაგრებული მსჯელობა რომ სიკეთეს არ მოგვიტანს, ნათელია.

გაგვითვისელდა საუბარი. პრობლემა ასე დგას განათლების ენა ქართველი ბავშვისთვის ქართული უნდა იყოს: არაქართული, რუსული იქნება ის თუ ინგლისური, ეროვნული სიკეთის მიმტანი არაა. ცნობილი ხალხური ანდაზა - რა განსხვავებაა, მგველი შექმას ცხეარს თუ მგლისფერი ძალით - ამ შემთხვევაზე ითქმის.

განათლების ენა სახელმწიფო ენა უნდა იყოს: ყოველი კური ინიციატივა, რომელიც ამ პოზიციას დაუპირისპირდება, დამზუპეველია ქვეყნისთვის, რაც დროზე აეტეხო განგაშს და მიეხედავთ საქმეს, მით მეტი სიკეთე მოუვა ჩვენს ეროვნულ ყოფას. ამ საქმის მოგვარების გზები საძებნი არაა, მონდომებაა საჭირო და კიდევ იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელსაც ქნიან ისინი, ვინც თავიანთი ჯიბისა თუ კუჭის ინტერესებიდან გამომდინარე იგონებს ათასნაირ ლიცეუმებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებს... სამწუხაროდ, ეს დაბრკოლებები არაა იოლად დასაძლევი. ამის მაგალითად ეწ. თურქელი უნივერსიტეტიც გამოდგებოდა: იყანე ჯაებაზეშეიღლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კაფეირი, რექტორთა საბჭო და, საქართველო, ინტელექტუალური საქართველო იბრძეის მის გასაუქმებლად, მაგრამ არსებობს რაღაც ძალა, რომელიც უპირისისპირდება ამ საღ აზრს და იმარჯვებს! (იმედია, ეს გამარჯვება დროებითია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვამედებენ...).

დროია, დაეფიქტდეთ. XXI საუკუნის საქართველოს ინტერესები მუაღლდებულებს, ღირსი პატივი მივაგოთ ქართულ ენას.

კი, ბატონი, ბატონი ცცეთ რუსულს, ინგლისურს, გერმანულს, ჩინურს, მაგრამ დედაქნის ინტერესები არ შეეღაბოთ ამით. ჩვენს ქართველობას უმთავრესი ბურჯი - ქართული ენა - არ გამოიგაცალოთ. არადა, გზა - არა-ქართველი ენის დამკითხვებისა - ამას გვიქადის...

## დაცხეჭოთ თვალი?

უმაღლესი სასწავლებლის სასწავლი გეგმების შედეგანა, ერთი მხრივ, და უმაღლეს სასწავლებლში მისაღები გამოცდების საგნების შეჩერვა, მეორე მხრივე, არაერთი დისკუსიის საგანი ყოფილა ამ ბოლო წლებში. საკითხი სხვადასხვა კუთხით დაისმიდა და დისკუსიის მონაწილეთა მოთხოვნებიც სხვადასხვაგარი იყო. ერთ ეტყვით, რომ ყოველიც საღია აზრი იმარჯვებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც უამისობა იყო.

მორითადი სადისკუსიო პრიბლეჭის ქართული ენა და ლიტერატურა იყო გასწავლით თუ არა უმაღლესი სასწავლებლის არასეკციალურ ფაქულტეტებზე და თუ გასწავლით, როგორ, რა პროგრამით? უნდა ჩაბარდეს მისაღებ გამოცდებზე ეს საგანი თუ არა და, თუ უნდა ჩაბარდეს, როგორ, რა სახით?... ეს კითხები არაერთგზის დაისხა ბოლო წლებში.

ახლახან სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხი გახდა სადისკუსიო თემა. კერძოდ, კონსერვატორიას სასწავლი პროფესიიდან ამოიღეს საქართველოს ისტორია. როგორც მოსალოდნები იყო, ამას სპეციალისტთა აღშეოთხბა მოჰყეა, რამაც კონსერვატორიის რექტორის გაქვირება გამოიწვია.

ამთავროვე გენერა აღნიშნო, რომ ჩენ არ გვაქვს კონკრეტულად ამ დისკუსიაში ჩართების სურველი. ჩენ გვსურს პრიბლება სხვა კუთხით დავინახოთ: საქართველოს ისტორიის სწავლებაზე უარის თქმა ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის მიერ არაა გამონაკლისი შემთხვევა. სხვა უმაღლესმა სასწავლებლება საერთო საგანი ქართული ენა არჩევით საგნად გამოაცხადა და არჩევანის გაკეთების უფლება სტუდენტებს მისცა; მეორე უმაღლესმა სასწავლებლება მისაღები გამოცდების საგანთა ნუსხიდან ამოიღო ქართული ენა და ლიტერატურა; იქნე არასპეციალურ ფაქულტეტზე ქართული ენა აღარ ისწავლება. ასეთივე ბედი ეწია საქართველოს ისტორიასაც არაერთ უმაღლეს სასწავლებლში. აღარას გამოიბრ არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე დაეხსულო თვალი და შეეგრუო ყოველივე ამას?

სასწავლი საგანთა ნუსხიდან საქართველოს ისტორიის ამოღებას ასე ასაბუთებენ: „ეს სიახლე უმაღლესი სასწავლებლის რეფორმასთანაა დაკავშირებული, რომელიც სხვათა შორის, ერთ-ერთ მიზნად დასაელეონში მიღებულ სტანდარტებთან მიახლოებას ისახავს“ („რეზონანსი“, 3-4 თებერვალი, 1996 წ. გვ. 7). უკვე მერამდენედ იშეველიებენ დასაელეონის ქანკების სტანდარტებს. მაგრამ არც ერთხელ არ გავცა პასუხი კოსტეს ვართ კი ჩენ მზად ამ სტანდარტების შემთხვებად? საიდან დაეიწყოთ



რეფორმისა, ზემოდან?

რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით მსჯელობას, რომ „სკოლაში დაშეცემული სერიაზე უდიდესი უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც წესა, ვერ გამოისწორდება“ (იქცე).

გენამს და გვჯერა: სანამ „ხოგადსაგანმანათლებლო სკოლა სკოლას დამტკიცებული სკოლაზე უშეაღლო საქმეს თავს გაართმევს, უმაღლესმა სკოლამ დიახაც უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ მშობლიური ქნისა და ლიტერატურის თუ ისტორიის სწავლებაში დაშეცემული ხარებზები გამოასწოროს. სკოლაზე გადაბრალება გაუნათლებელ სპეციალისტთა თაობას გაგეოზრდის...“

ასეც მსჯელობენ: „ჩენ მისაღები საგამოცდო პროცესის ჩაშლას გვთავაზობენ, რადგან არასპეციალური საგნის მეტ-ნაკლებმა ცოდნამ იოლად შეიძლება შემოაბრუნოს ახალგაზრდა მუსიკისის ბეჭდი“ (იქცე). ეს „არასპეციალური საგანი“ საქართველოს ისტორიაა და, ალბათ, ქართული ენა და ლიტერატურაც. კი, მაგრამ, აქნება კი ის ქართული სპეციალისტი (მუსიკისი, მხატვარი, მსახიობი...), ვინც საქართველოს ისტორიასა თუ ქართულ ენას „არასპეციალურ“, ზედმეტ საგნად მიიჩნევს?

ამ თემაზე საუბარი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჩენთვის მთავარია ერთი საკითხი - როგორია განათლების სამინისტროს პოზიცია? -

სამწუხარი ფაქტად მიგვაწინა ის, რომ ასეთი დისკუსიები იმართება და განათლების სამინისტრო მას დაუმიმდით ხედება. 1989-1990 წლებში ორი სახ-ელმწიფო პროგრამა დამტკიცდა - ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის. ორივე პროგრამაში საგანგებო ყურადღება ამ საგნების სწავლებაზე იყო გამახვილებული. ორივე შემთხვევაში განათლების სამინისტროს ევალებოდა ამ საკითხზე პასუხისმგებლობა. რამდენადც ეს პროგრამები არაეის გაუუქმებოთ, იყარაუდება, რომ მოქმედებს. განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა კი არ ჩაას...“

როცა საკითხი ამა თუ იმ საგნის სწავლებას, ანდა მისაღები გამოცდების ნუსხაში მის ყოფნა-არყოფნას ეხება, ინციიატივათა აეტორები უმაღლესი სასწავლებლის აეტონომიურობას მოიშეველიერენ ხოლმე. გარეულით ითქვა თავის დროზე და ახლაც უნდა გაეთმოროს: ქართული ენისა და ლიტერატურის თუ საქართველოს ისტორიის სწავლება-ანს სწავლების საკითხი არ უნდა იყოს რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის გადასაწყვეტი. ამ საკითხზე სახელმწიფო უნდა ჩრდინავდეს და განათლების სამინისტროს მეშვეობით მართავდეს პროცესს. ამას მოიხილედა „ხემიხსენებული სახელმწიფო პროგრამები და ეს მოიხილენა უნდა შესრულდეს.“

„შუალედ გრიფებისა“,  
მარტი, 1996 წ.

## ლაპარობა XXI საუკუნის საერთო დონალდებ.

### აც ღრმა დაფიქრდეთ, რას ვაკეთია!

ქუთაისის ტელევიზიით შემთხვევით მოეისმინეთ ქალაქის მერის, ბატონი თემურ შაშიაშვილის საუბარი ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის თაობაზე. დაინტერესდით, გაეკითხეთ. როგორც ჩანს, ბატონ თ. შაშიაშვილის ამ საერთაშორისო უნივერსიტეტის თაობაზე არაერთგზის განუცხადება სხვადასხვა თოფიციალურ შეხვედრაზე.

თურმე, ბატონ თ. შაშიაშვილის მოლაპარაკება პ-ქონია სხვადასხვა ქუჭის 15 ქალაქის (საბერძნეთის, თურქეთის, იტალიის, უკრაინის) ხელმძღვანელობასთან ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე: ამ საქმისათვის 20-20 ათას დღოლარს პპირდებიან პარტნიორები ქუთაისს; შერჩეულია შენობა უნივერსიტეტისათვის (წყალტუბოს გადასახევეთან, ყოფილი სანატორიუმის შენობა, ამჟამად, პოლიციის სამსახურისა მასში); უნივერსიტეტის გახსნა 1997 წლის მაისში ივარაუდება - ქუთაისობის დღესასწაულზე.

ერთ-ერთ უკრებაზე ბატონმა მერმა უპასუხოდ დატოვა შეკითხვა - რა ენაზე იქნება სწავლება ამ უნივერსიტეტში; მაგრამ დაამშეოდა მსმენელი, რომ უნივერსიტეტში ქართული ენაც შეისწავლებაო... ამბობენ, სხვადასხვა ქვეწნიდან მოსაწვევ დაქმირ-მასწავლებელთა შერჩევაც მოხდაო.

ფაქტია: ეს უნივერსიტეტი არ იქნება ქართულენოვანი.

ქართულის გვერდით - სახელმწიფო ენის გვერდით - განათლების სისტემაში არაქართული ენის დამკეიდრება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროს დაეიტროებას მოისწავებს. უცხო ენის გათანაბრება ხდება ქართულთან ამ სფეროში. გაეთხსენოთ: დიდ ივანე ჯავახიშვილის უკანონებდნენ თავის დროზე, ქართულს არ შესწევს ძალა, იყოს უსაღებეს განათლების ენაო. ამგვარი ინიციატივები (საერთაშორისო უნივერსიტეტების გახსნა იყულისსმება) ი. ჯავახიშვილის მოწინააღმდეგეთა აზრის დადასტურების მცდელობაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითვექას, ანტიერობული ქვედება!

მოგეხსენებათ, მშობელთა უმეტესობა აკენიდანვე თცნებობს და ზრუნავს იმისათვის, რომ უკალმა უმაღლესი განათლება მიიღოს; აკენის ბავშვების გაპროფესიონაზე მოფიქრალი მშობელი, მოგეხსენებათ, ორგანიზაციას

„პრესტიულ“ უმაღლეს სასწავლებელზე იღებს. ამგვარ შოთბულისათვის „უნიკალურისტების სახელს გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება (გაეთხსენთ, როგორი ლტროლეა ისეთი სპეციალობებისაკენ, რომელთა დასახელებაში საერთაშორისო ურკება - საერთაშორისო სამართალი, ურთიერთობები, უურნალისტიკა, კონომიკა, ბიზნესი...), ამიტომ აკრიტიკული დაიკლის თადარიგის „მზრუნველი“ შრომები და ბავშვს შეჯვანს არაქართულენოვან ბაღში, სკოლაში, ლიცეუმში, კოლეჯში. საუბრუოდ, მომრავლდა ასეთები საქართველოში და გამრავლდება კადეკაც ამგეარი მცდელობებიდან გამომდინარე - სათო მოვაკარო ამ გზას? - ქართული განათლების სისტემაში საუკუნოები ბრძოლის შედეგად დამკიდრულული ქართული წინის უარყოფაა ეს. ეს გზა უბრუნების გზაა; ეს გზა ქართული ინტერესების საპირისპირო გზაა ბიზნესის, ბიუჯეტის და სურვილის ინიციატორობისას არ გადავაყოფლოთ ქართული საქმე ყოველივე ეს იმ საფალადო შედეგს გამოიღებს, რომლის გამოსწორებას, საერთოდ თუ შეეძლოთ, ათეული წლები დასჭირდება.

თურქელი უნივერსიტეტის შესახებ ატენილი აკოტრაჟი ამავე პრობლემებს უკავშირდება. ეს არ იყო (და არ არის) პოლიტიკური საკითხი; თურქეთი აქ არაფერ შეუაშა: თურქელი იქნება, რუსული თუ ინგლისური, შედეგი ერთი ენება მას - მშობლიური წინის იყნირირება მოხდება ყველა შემთხვევაში. კომუნიკაცია, ამის გამოსწორება ბეჭრად მეტ დროსა და წერტილის შეინირავს, ეიდონე ქრის შეხვდეთ ჩანს.

დაგეწეველის მომავალი თაობა (21-ე საუკუნის საქართველო). ეს 21-ე საუკუნის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

ეს არაა ტაქტისკენ მიმავალი გზა, ეს გადატვარების გზაა - დროია, დაეფიქტდეთ, რას ვაკეთებთ...

„შევივრ კრიტიკისა“  
იტემშვილი, 1996 წლი

## კიდევ ერთხელ და... როდევდის?...

ამას წინათ განათლების სისტემის ერთ-ერთმა მუშაქმა სიამაყით განაცხადა, თბილისში 70-მდე უცხოუროები დაწყებითი სასწავლებელიათ. უპირველესად, განათლების სამინისტროს აზრი გვაინტერესებს: არის თუ არა ეს საამაყო ფაქტი და, საერთოდ, განათლების სისტემაში ქართული გენერაცია უცხოენის დამკეიძღვება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროს შეზღუდვად მიგანიათ თუ არა? ეს როგორიცემა შეკითხვა უფროა, მაგრამ ადრესატს ექნება, აღმართ, პასუხები ამ კითხვაზე.

ეს კითხვა ისევ თურქელი უნივერსიტეტის პრობლემაზ დაგვასმევინა. ამას წინათ იგანე ჯგუფების სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავ იმსჯელეს ამის თაობაზე.

გთავაზობთ გაზეთ „საქართველოს“ (24–28 ოქტომბერი, 1996 წ.) ინფორმაციას:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალურ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფი აპირებს თბილისში საპროტესტო აქციის ჩატარებას საქართველოში კწ. თურქელი უნივერსიტეტის ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ. ისინი მოითხოვენ, დაუყოვნებლივ შეწყდეს აღნიშნული უნივერსიტეტის ფუნქციონირება დამტკიცილის სახელობის კოლეჯში.“

„შევი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ დაარსდა საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების ედუარდ შევარდნაძისა და სულეიმან დემირელის შეთანხმების საფუძველზე. „იბრირიას“ კორესპონდენტებს საქ. განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელმა განუცხადა, რომ ჰორი იმის თაობაზე, თითქოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ისლამური ფუნდამენტალიზმის კერა გახდება საქართველოში, მტკარი სისულეელა: მისივე თქმით, უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით. რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალურ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კრთი ჯგუფის მიერ ატეხილ ისტერიკას, იუ პროფესიურებულია რუსეთის სპეცსასახურების მიერ, რომელთაც სურა შეაუერხონ ურთიერთსასარტყებლი თანამშრომლობა თურქეთსა და საქართველოს შორის. – განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა\* (ხაზი ჩეცნაა – რედ.).

თანაავტორი თხიჭა ჭურაიძე

## ფიქრები დედაუნაზე

მაშ ასე, ოურქელი უნივერსიტეტის საწინააღმდეგო მოძრაობა „პროეკტის“ ცირებულია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ,- აცხადებს განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელი და იგი ამ შემთხვევაში იქი-ორუბს განათლების მინისტრის მიერ აღრე გამოთხველ აზრს, გაეცხსენოთ პატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ უნივერსიტეტის აშენების მიზანშეწონილობის საკითხი საქართველოში თურქი და რუსი სპეცსამსახურების მოღვაწეობის პრობლემებს დაუკავშირა. ამის გაცემა მან შექმნი იმ აზრის არაერთხელ განმეორებით, რომ თუ ზოგიერთები შეიშეძენ უნივერსიტეტი თურქეთის რეზიდენტების ბუდედ იცცევა, სამაგისტროდ, აშენების მომხრევებიც სერიოზულად ფიქრობენ, რომ საწინააღმდეგო აზრი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არის „შემოგდებული“ (გაზეთი „კავკასიონი“, 13 აპრილი 1996 წ.).

როგორც ეხედავთ, განათლების სამინისტრო ჯერუად იმეორებს ერთსა და იმავეს მინისტრისა თუ „სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლის“ პირით ითქვა და დაიწერა: ამ აზრის აეტორები არ გრძნობენ იმას, რა უხერხელ მდგრმარეობაში იგდებენ თავს... როგორც ზემოთ მოყვანილ პუბლიკაციაშია ნათქვამთ, ეს მართლაც „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთო ჯერუის მიერ ატეხილი ისტერიკა“?, კელავ გაზეთ „კავკასიონის“ მოედოშეელიებთ: „როინ მეტრეველი - იუნკ ჯავახიშეტილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი: რაც ვიცი, იმის მიმართ უარყოფითობა ჩეენი დამოკიდებულება და ამის შესახებ არა მხოლოდ სიტყოფულად, არამედ წერილობითაც ვაცნობეთ. ჩეენ მათი გეგმების, მათი პროგრამების ექსპერტი გახლდით და ჩეენი ექსპერტისა უარყოფითი იყო... ამ უნივერსიტეტის მიმართ პირადად მეც, რექტორთა საბჭომაც და თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომაც წერილობით გამოვხატეთ უარყოფითი დამოკიდებულება“ (გაზეთ „კავკასიონი“, 18 თებერვალი, 1996 წ.).

თუ სხევადასხევა დროს უნივერსიტეტის გადაჭედილ აუდიტორიებში ამ საკითხის განხილვასაც გაეცხსენებთ, აღმოჩნდება, რომ არ ყოფილა ეს „პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთო ჯერუის მიერ ატეხილი ისტერიკა“! მაში, ვისთვის ან რისოფისაა გათვლილი პრობლემის ასე გაუფასურება?

აქნებ გვასხრას „სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელმა“ - უნივერსიტეტი არაა მოელი საქართველო, და, საერთოდ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებულოა აზრი არაა საქმიარისით...

შევახსენებთ, რომ ამავე აზრისაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც.

აკადემიის უიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი ანდრია ალაქიძე მე სათხოობდა გამოიყიდთხე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის კველა წერის აზრი და კველანი წინააღმდეგნი არიან ამ უნივერსიტეტის „აშენებისა“ (“კავკასიონი”, №64, 1996).

საქართველოს საპატიონქოს „უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნული უნივერსიტეტისადმი მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე გამოხატა საქართველოს საპატიონქოს მისია და ევანგელიზაციის განვითარების ხელმძღვანელმა, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა დანიელმა „კავკასიონი“, №64, 1996 წ.).

მექუთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა თურქელი უნივერსიტეტის მიმართ საქართველოს მწერალთა კაეშირმა, საკითხის ხანგრძლივ და საფუძვლიან განხილვას აქ ბატონი მინისტრიც ესწრებოდა.

### მაშ ასე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორთა საბჭო (ე.ო. უელა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი), მეცნიერებათა აკადემია,  
საქართველოს საპატიონქო,

მწერალთა კაეშირთა აღარის ვამხობ სხედასხვა ორგანიზაციათა თუ გაერთიანებათა შესახებ, რომელთაც ასევე ცალსახად გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება თურქელი უნივერსიტეტის მიმართ, რა თქმა უნდა, იცის ეს უოუელოვე განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელმა და მაინც ატყეოს, რომ პროფესორ-მასწავლებლებთა და სტუდენტთა კრიტიკული ისტორიკათ ეს...

ესაა ზემოამოთველი დაწესებულებათა არად ჩაგდება, მათი კომიტეტი ტური აზრის იღნორირება და პრობლემის გაუბრალოება.

მაინც, რა ძალა ის, რომელიც უპირისპირდება ამ საერთო აზრს და იმარჯვებს! ეის ან რას ემსახურება ეს ძალა?!

და კიუე: თუ ზემოამოთველი ორგანიზაცია-დაწესებულებები რესესიის სპეციალისახურების დავალებებს ასრულებენ, გამოდის რომ რესესიის სპეციალისახურები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ჩეინი ეროვნული პრობლემების მოგეარებით, ეიდრე საქართველოს განათლების სამინისტრო...

დაინტერესებულმა პირმა რომ შეერთოს უელა ის პუბლიკაცია, რომელშიც განათლების სამინისტროს საპირისპირო პოზიციაა გადმოცემული, კრიტიკულურიანი ტომი გამოიგა. თითქმის უელა დარგის სპეციალისტების გამოსტკა თავისი აზრი და მაინც განათლების მინისტრი ბრძანებს მე

ეკრანით მოვისმინე ის არგუმენტი, რომელიც დამარწმუნებდა, რომ ეს უნიკალური არ არის საჭიროა". არადა, ბატონ თ. კუპანტრიშვილის მოსმენტებისა და წაკითხულის გაგრძა რომ შეუძლია (და სხვაზე უკედაც). ამაში უჭირა არ გემპარება, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭიროა ასე ითქვას.

„განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლის" განცხადებიდან ერთ ადგილსაც მიუკეცეთ მკითხველის ყურადღებას: „ჭორი იმის თაობაზე, თითქოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ისლამური უუნდამენტალიზმის კურა გახდება საქართველოში, მეტანარი სისულელეა". იქნებ განმარტოს განმცხადებელმა, რატომ არის სასწავლო საგანთა ნუსხაში ყურანი? რა აუცილებლობა არის საქართველოში არსებულ კწ. საერთაშორისო უნივერსიტეტში ამ საგნის სწავლითია? მაღალი რანგის წარმომადგენლის" უბრძანებია: „უნივერსიტეტი უუნქციონირებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით". ქართული ენა და საქართველოს ისტორია არ უნდა ისწავლებოდეს საქართველოში არსებულ თუნდაც საერთაშორისო უნივერსიტეტში? თუ ამ საკითხებს არ მიაკეცეს ყურადღებას, მაშინ რა შინშენებობა აქეს, საქართველოს განათლების სამინისტრო დაამტკიცებს ამ პროგრამებს თუ სხვა ვინმე?

და ბოლოს, ტელევიზიონით არაერთგზის გადაიცა განცხადება, რომ კწ. საერთაშორისო (ანუ თურქეთ) უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები არ ჩატარებულა და თურქეთიდან სტუდენტები არ ჩამოჰყენიათ. მაღალი რანგის წარმომადგენლი" კი აცხადებს, რომ უნივერსიტეტი უუნქციონირებსთ. როგორ გაეგოთ ეს უუნქციონირება? რა არის ტყუილი და რა - მართალი?

მოკლედ: კითხვა უამრავია, პასუხი კი ერთი და ისიც ასე ედერს უნც რა უნდა თქვასო...

რედაქცია სამოენებით გამოაქვეყნებს ჩეენ მიერ დასმულ შეკითხებზე პასუხებს, თუკი მიეიღობთ...

პური ქრისტიანი,  
ნოემბრი, 1996 წ.

## მოხავეის პოზა

იყო დრო, როცა ოფიციალურ პრესაში, რადიოთი თუ ტელევიზიონით გამოიტაქვიდა შენიშვნა, კრიტიკა უპასუხოდ არ რჩებოდა. უმართებული შენიშვნისა თუ არაობიერული კრიტიკის შემთხვევაში ადრესატი თავს იმართლებდა, თუ, რა თქმა უნდა, პასუხის ღირსად ცნობდა კრიტიკის კილის მწამებელსაც ამხელდნენ და სჯელდნენ. მართებული შენიშვნების შემთხვევაში მიზეზებს განმარტავდნენ. ასე იყო არცოთ შორეულ წარსულში...

დღეს ხშირ შემთხვევაში ადრესატი არ თელის საჭიროდ პასუხის გაცემას საჯაროდ გამოიტაქვიდ შენიშვნაზე, კრიტიკაზე, სერიოზულ ბრალდებაზეც კი... ვინც რა უნდა თქვასო...

ჩენი გაზითის პროფილიდან გამომდინარე, არაერთი წერილი დაეტყოდა ზოგადად განათლების, ეროვნული სკოლისა და, კურძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრობლემებზე. შენიშვნებიც მრავლად იყო და კრიტიკაც, სურეალიც და თხოვნაც, არც საფუძვლიან ბრალდებას მოერიდებივართ, შეკითხვებიც დაესვით, მაგრამ პასუხი არ მიგეიდა. ვფიქრობთ, ან არ ჩაგვთვალის პასუხის ღირსად (რაც საქმაოდ უსიამოები შეგრძნებას იწვევს), ან არაფერი პქნდათ საპასუხო (რაც უფრო მძიმედ შესაგუებელი აზრია ჩენთვის).

ჩენი სატკივარი კვლავ ეროვნული სკოლა, რომელიც ეროვნულობის ბურჯად მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილს (მამულთან და დედანასთან ერთად) ცნობილია, რომ მსადადება სასკოლო რეფორმა, მაგრამ ეს მომავლის სკოლას ეხება: რა დღეში დღეუანდელი სკოლა? ვთქვით ერთხელ, XX საუკუნის სკოლის ნანგრევებზე XXI საუკუნის სკოლა არ აიგება: ღრმად გეწმს ეს და ეს რწმენა მოსეულენებას გვიკარგავს... ძალიან გეინდა, მაგრამ ეს რწმენაც ჩენთვის არავის დაურღვევა...

ამიტომაც კელავ დაესვამთ შეკითხვებს:

განათლების სისტემაში ქართულის პარალელურად არაქართული ქების დამკაიდრება სწავლების ქად (საბავშვო ბალიდან მოყოლებული უნივერსიტეტების ჩათვლით) არის თუ არა სახელმწიფო ქის ფუნქციონირების შეზღუდვა და საით მივყაროთ ამ გზას?

რა არის მიზეზი იმისა, რომ კითხვაზე - სწავლობდით თუ არ X-XI კლასებში საგანს ქართული ენა - პირველ-მეორე კურსის სტუდენტთა



უმრავლესობაში ასე „უპასუხა: არ მახსოვეს“, ან ვიცი?“

რატომ მიეკა ასეთი ფართო მასშტაბი ეწ. „ექსტრინადა“ სკოლის დამსაკრებას; რატომ იღებს ამდენი მეათვეკლასელი თერთმეტი ქლასის დამსაკრების ატესტატს?

რატომ მომრავლდა ასე საღამოსა (თუ ღამისი) დასწრებული და დაუსწრებული (1) სკოლები? თავის დროზე მსგავსი ფორმა სწავლებისა მასობრივი გაუნათლებლობის ლიკვიდაციისთვის შემოიღეს; დღეს კი ეს სკოლები მასობრივ უწიგნენობას ამკვიდრებენ.

ჩეევლებრივ (ე.ი. დღის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თითო-ორილა დამამთავრებელი ქლასია, ხოლო საღამოსა და დაუსწრებულ სკოლებში, რაზეც ოვალი მიგეიწვდა, 5-7 (10-სე მეტყველი) პარალელური ქლა-სია; ხოლო თითოეულ ამ ქლასში 35-40 მოსწავლეა. რატომ ხდება ასე?

პროცენტულად რამდენი იქნება ისეთი შემთხვევა, როცა ატესტატში შეტანილი შეფასება ობიექტურად ასახავს სკოლადამთავრებულის ცოდნას?

ამგვარი ცოდვამაღლანი კითხვების გამრავლება შეიძლება, თუმცა გვეყოთ, ამ კითხვებზე პასუხი ჩექნ ეიცით, მაგრამ სელისუულთა აზრი გვაინტერესებს. აյ კი, სამწუხაროდ, არ გვაქვს იმედი, რომ აღრესაატი გვიპასუხებს. რატომ? წაუწევება მომზებიანი პოზაა. ეითომც არაუკრი თქმულაო... საშე კი უკუდმა მიდის...

„მურჯა ერთგვისა“,  
იქნის, 1997 წ.

რომელი ქვეყნის  
დედაქალაქი  
აა სერათებზე  
ასახული?



აბურჯი ეროვნებისა  
იული, 1995 წელი

## რომორ ვიშით ჩართალი?

დააღმოგი მწერალ თაბაზ ხმალაშისთან

**თ.ხ.** - ბატონი გიორგი, ამ ბოლო დროს არაერთი ქრიტიკული და პოლემიკური წერილი გამოქვეყნდა ქართული ქნის თაობაზე მათშიც სხვადასხვა კუთხით და სულისკეფებით განიხილებოდა დედაქასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. როგორც ყოველთვის ხდება ჩეცნში, პოლემიკას ვნებათაღელვაც ახდენდა.

**გგ.** - და როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე პირადულისა ინტერესებმა წამოიწაა, თავისგამოჩენის სურველიმა იმძლავრა. ასეთ დროს კი. ჰელვარეშვა, სახოგადო ინტერესი პირადულს ეწირება...

**თ.ხ.** - შარშანდელ მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში, სადაც ოქენეც მოგიწიათ კამათში ჩაბმა. სრულიად ნათლად გამოიკვეთა აზრი. რომ ქართული ქნა ჩეცნშია ახალგაზრდობამ ცუდად იცის, ამის გამო იმასაც კი მოითხოვდნენ, მისაღებ გამოცდებზე ნუ მოეკითხავთ ქართული ქნის ცოდნასო.

**გგ.** - ეს მეორე უკიდურესობაა. თუ ცუდად ასწავლიან (ეს ასეა, და, რა თქმა უნდა, ეკანანხმები), უნდა დაესეათ საკითხი სწავლების გაუმჯობესებისა და არა საგნის უარყოფისა. ყველამ ერთად უნდა ეყბებოთ ეს გზა... გზა ქართული ქნის სწავლების გაუმჯობესებისა, თორებ გამოცდაზე მოეკითხოთ თუ არა აძირულობენტს ქართული ქნის საკითხების ცოდნა, ეს არაა პრობლემის გადაწყვეტა. მიღდი, აეს ეუწოდოთ აფი და ეაღიაროთ, რომ ქართული ქნის სწავლება ცუდადაა დაუწენებული. ქართველ ჰაცს დედაქნას არ ეასწავლით ისე. როგორც საგანს ეკადრირება.

**თ.ხ.** - ბოლო წლებში ერთოული მომრაობის აღორმინებამ ახალი ძალა შემატა. ასე უთქვათ, საღლატერატურო ქართულის სიტმინდისთვის ბრძოლის. ბეჭრის ეწერო, ელაპარაკებით დედაქნის პარონობაზე. მისთვის კუთხილი დირსეველი აღგილის მინტებაზე ქართული კაცს სულიერ საგანზურში, პრაქტიკულად რა შედეგი გააქვს, რა კეთდება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის?

**გგ.** - მე ერთგან დაეწერე კიდევ, რომ ბრძოლამ საღლოტერატურო ქართულის სიტმინდისათვის კამპანიური ხასიათი მიიღო. ენა კიდევ ის უკნიმები არ არის, რომილის პრობლემები კამპანიური დონისძიებებით შეიძლება გადაიტრანს. როგორც ყოველი კამპანიური დონისძიებები, მაღა

შინულდება ხოლმე ენთუსიაზმი და ასაღი წამოწყებებისა და ასაღი გამანაბეჭდის უნდა დაკლობობით დგვდაქნის პრიბლებებზე ზრუნვა და ფურცელი შინაგან მოთხოვნილებად უნდა გაეცეს. მაღლიდან დავალებას, კონტესაგან მოწოდებას კი არ უნდა ეკლოდეთ, ყველამ ჩეცნის თავსა და საქმეს უნდა მიეხდოთ, არადა, როგორც ყოველ კამპანიურ ღონისძიებას სჩვევია, გახსოვთ აღმართ, ქართული ენის სახლოში მოგებისას ყველა ავლაპარაკვით, უფრო ქალაქით და დაპირებებით, ვინ რას გააკეთებდა.. ასევე იყო ქართული ქის დღე რომ ეოზეომეტ პირებიდან, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა დანაკალები მარტინიული შესრულდა, ანდა სრულდებოდეს.

**თბ.** - დგვდაქნისადმი ზრუნვა-პატივისცემის შინაგანი მოთხოვნილება რომ გამოყენებულით, ამას აღმართ დრო დასჭირდება, მანამდე კი, ჩემი აზრით, მეგვრო კამპანიური ღონისძიებებიც საჭირო იქნება.

**გზ.** - გეთანხმებით, ერთი მაგალითი მინდა მოციუანო დედაქნის წინაშე მოქალაქეობრივი ვადის შეკრძნებისა: ცნობილი გეოლოგის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელაძის მოწაფე იღონებდა: ასპირანტები ნაშრომს რომ ეპიკრისტებით, პროფესიონალ რაც უნდა კარგი ყოფილობა, თუ ცუდი ქართულით იყო აწერილი, მასწავლებლის რიხსხვას ვერ გადაუკრძბოდებოთ უცრის მეტიც, პირველ რაგში ამ ოქალით გადახედავდა ნაშრომს, შემდეგ პროფესიონალით.

**თბ.** - დღეს აღმართ მსგავსი მაგალითების მოძიებაც გაგეიჭირდება.

**გზ.** - გაგეოჭირდება არა ის სიტყვა— გაგეოტიტოდება კი არა, ვერ მოვიძებოთ ასეთი მაგალითის. საბუნებისმშეკავშირი და ტექნიკურ დარიგებაში, ასე ვთქვათ, სამუშაო ენა აღარა ქართული. დავუარგეთ დიდი იტენი ჯავახიშეიღის დამკერდისტერი ტრადიცია და, აღმართ, ასეული წლები დაიმკრდება, 30-იანი წლების დონემდე რომ აეიდეთ ამ მხრივ ყველაურის მიმერას ნუ დაგაბრალებოთ, იმპერია არ აძულებდა მაგანია და მაკანი კადემიას მოამზესა “ოუ მაცნეში” რესულიად ებუქდათ ნაშრომები. რესულიად გამოეცემ წიგნები, როცა ამის აუცილებლობას ერთგული ინტერესი არ ჰქონიახებდა, იმპერია არ აძულებდა თბილისში სამეცნიერო კონფერენციებზე ქართველის რესულიად ეკითხა მოხსენება. ეს ვალკართველია ძრინი ინიციატივა იყო.

**თბ.** - იმპერიული პილიტიკა რომ მარც შუაშა, ამას ფიცი და მტკიცი არ სჭირდება. სხვა რომ არა იყოს რა, სამეცნიერო წრების ქის საკითხებს როცა შეკეხბოთ, გერგვ იმას აუკვლილი გვვრდს, რომ აძულებით იყო დასტრატეგიის რესულიად დაწერის ფაქტი.

**გმ.** - ღმმწოდისა და სწულების იმპერიაც და მისი დამცველ-მაჭიდის მაგრამ მე სხვა რამ მინდოდა მეთქეა. იმპერია არ გაკერძოდა დის-  
ერტაკის ქართულად დაცვას, ასეც ხდებოდა ფილისოფერიში, ისტორიაში  
და ზოგჯერ აღმართ, სხვაგანაც მაგრამ სადისერტაციო ნაშრომი შემდეგ  
რესულად უნდა გვეთარგმნა და დასამჩრეცებლად გაგვეგზავნა იმპერიის  
ცნობრში. რესულად თარგმნა, მოგეხსენებათ, საქმეს ართელებდა და ეს  
საქმე გაათვლეს. როცა რესულად დაწყეს დისერტაციების წერა და სამეც-  
ნიერო საბჭოების სხდომათა რესულად გამართვა. ეს იმპერიული მომსხვევები  
სატომულად იქცა მათოვის და საკუთარი საქმის გათვლებას დედავნის  
ინტერესი შეეწირა... პოდა, იმდენი რამ გაგეონოული ამან, იმდენი რამ  
გაფუჭდა, წლები დასჭრდება გამოსწორებას. ქართულთა შოთაოს ქართული  
ქნის საკოსხებზე რესულად საუბრის მოწმეც ვერცილება. ის კა არა, ზოგ  
პროცესულ წრეში ქართულად საუბარი პროცესუალიზმისად მიიჩნეოდა და  
მიიჩნევა კადევა... ამის დაძლევასაც წლები სტილებია. არადა ეს "უკე ხევნებე  
იყო დამოკიდებული. ამას "ზეფადო" არ გვავალებდნენ და გვაიტულებდნენ.  
ეს დედაქნისადმი წევნი მოქალაქეობრივი ვალის, წევნი ენობრივი შეცნების  
შესუსტების შედეგი იყო. კონსტანტინე გამსახურდა წერდა დაუდგურობა  
უდიდესი სენა დაუგანდელი ქართულობისა. სწორედ მეტყველებაში იწეს  
უწინარეს კოველისა ამ დაუდგურობის ქართული კაცო".

**თხ.** - "უფრო კონკრეტულად, ეზა ხსნისა?"

**გმ.** - ქართულის სწავლება სკოლაში ძირული გარდაქმნას მოიხსენეს,  
ქართულისა და არა მხოლოდ ქართული ქნისა. დაწყებით კლასიდან  
თავნიკარა ქართულის ნიმუშები უნდა მოგაწოდოთ ბაჟშებს. კარგი  
ქართულით გამართული ტექსტებით უნდა ვასწავლით წერა-ტახტა.

**თხ.** - საყოველოათდ ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი როგორ მუშაობდა  
დედაქნისა" თუ პუნქტის კანზე" შესატან ტექსტებზე

**გმ.** - გასულ წელს განათლების სამინისტროში ქართული დატერმატურის  
სასკოლი პროგრამების განხილებისასაც დაისკა ეს საკითხი. განსაკუთრებით  
დაწყებით კლასებში დგას ეს პრისტლება. სამწუხარებლა, არ იყო ახრით  
ქართულიაბა. სახელმძღვანელოში სწორი ქართულით გამართული ტექსტების  
შეტანის მოთხოვნა ენამიტცოცდისა ახორქად მიიჩნევს. ერთის კლიტერატურისა  
დამის დანაშაულად მიიჩნია სასკოლო სახელმძღვანელოებში აშენა ენო-  
ბრივი შეცდომების ჩასწორებაც კა თუნდაც დაბალ კლასებში.

**თხ.** - გულისხმობდა აღმართ, რომ ეს ხელისია ავტორის უკავშირის  
სახი.

**გზ.** - კი, ბატონი, მაგრამ როგორ აეუხსნათ უმცროს კლასების, რატომ იხმარა მწერალმა ესა თუ ის დააღმეტებული ფორმა და საერთოდ რა არის დააღმეტისმა და სხვა. მწერლობა რა არის და როგორ უნდა მოვცემოთ ლოტერიატურულ ქებლის, მე მგონი, ქონსტანტინე გამსახურდიამ სხვებზე ნაკლებად არ იკოდა, მაგრამ, აბა, მოვუსმინოთ: „არც ერთი მწერლისა ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა დაიბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთხნილ ქრესტომათიაში, ჩვენი კულტურისათვის, მთავარზე უმთავრესია არა თუ ამბიცია რომელიმე მწერლისა (სულიერია, ცოცხალი იქნება იგი თუ გარდაცვლილი), არამედ სიჯანსაღე ჩვენი კულტურისა და ჩვენი ენის სიფაქიზის შენარჩუნება“. უკუკიბა ავტორისა, დაუდევრობა რედაქტორისა თუ ქორექტორისა. — განაგრძობს კ გამსახურდია, — წახდებს ხელმე სკოლებისათვის განკუთხნილ ქრესტომათიებს და ანაგვიანებს ქართულ ენას ეს ამბავი ცალკეულ გამოცემებში ისე სახით არა, როგორც სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიებში. ასეთი ქრესტომათია წლების განმაღლობაში აერცელებს უარყონს ნორჩი თაობის მეხსიერებაში.

**თ.ბ.** - როცა სახელმძღვანელოების ენაზე ესაუბრობთ, რა თქმა უნდა, არ იცულისხმება მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები. რამდენადაც მასხოვეს, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა სპეციალურ კრიბულიც კი მოუძევნა სახელმძღვანელოების ენის საკითხებს.

**გზ.** - დაას, ჩვენმა ინსტიტუტმა შეისწავლა ქართული სახელმძღვანელოების — ნათარებებისა თუ ორგანიალურის — ენის საკითხები. მასალები გამოქვეყნდა „ქართული სიტუაციას ტელეტურის საკონკრეტო“ ერთ-ერთ ტომში. საკალალო მდგრომარებელაა ამ მხრივ როგორც ნათარები, ისე როგორინალურ სახელმძღვანელოებში. ამას თუ იმასაც დაუუმატებთ, რომ ქართული ენის სიტონიის თაობაზე მხოლოდ ქართულის გაკეთილებზე საუბარი და სხვ საგნების გაკეთილებზე პრაქტიკულად არასწორი ქართულით ესაუბრობა, უკამიტი ქართულის გაკეთილებზე მიღებული ცოდნისა ნაკლები იქნება, ბუნებრივია.

**თ.ბ.** - თვითონ ქართულის გაკეთილებზე ვასწავლით იმას, რასაც ქვა-ქართული ენა? ანდა ისე ვასწავლით, როგორ საჭიროა?

**გზ.** - როგორ პრობლემას ესებით, ქართული ენის სწავლება სკოლაში ძირულ გარდაქმნას მოიხსოვს, ეს საკითხი არაურსხელ დასმულია თეო-კიალურად. ჩვენც მიგვიღთა მონაცილეობა მის განხილვაში. მაგრამ ესაუბრობით ბეჭრს, გაქცეული ცოტას, ანდა — არაუგრძეს, საქმის გამოხასრულებლად. პროცერამებისა თუ სახელმძღვანელოების თაობაზე ყოველ ქო-

ტიტულ შენოშენას ძალზე მტკამეთულიად აღიატამიქ ისინი, კისიც ეს უშუალოდ ეხება. პროგრამა-სახელმძღვანელობის საკითხი მათი აფრიკულისა პრესტიჟის საკითხად იქცა. თავდამიღებული იცავენ და აუტორ-რედაქტორთა პატიომუყარების ეწირება საზოგადო სამსახურის ეწირება საზოგადო სამსახურის ეწირება და იშვიათად მისახაეს მოსწავლეების საგანი ქართული ენა რომ უცვარდება, ანდა ქართული ენის გრამატიკა როგონად რომ იცოდეს.

**გზ -** მე არ უკი. რა შედეგი მქნაბა, ასეთი გამოყისხევა რომ ჩატარდეს სკოლებში, რომელი საგანი უფრო უცვარის მოსწავლეები, რამდენი პროცენტი დაასახლებს ქართულ ენას პირველ საგნად, მაგრამ დიდი რომ არ იქნება ეს რიცხვი. მეც მჯერია ცუდი სახელმძღვანელოთი და ცუდი პროგრამით აგებულ საგანს გქნიოს მასწავლებელიც კი ძნელად შეაცვარებს მოსწავლეებს.

**თხ. -** მაინც რა გაქვთ მხედველობაში, როცა პროგრამა-სახელმძღვანელობის ნაკლებ საუცრობო?

**გზ -** ერთი ამბავი მინდა გავიხსენი. უნიკურსიტეტის დამთავრების შემდეგ სომხეთში მომიწია რომ წელი მუშაობამ, სამხედრო სამსახურში ვისაც. ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა, სმირნი და ახლო ქანტაქები გვქონდა. გაკვირვებული ვისაც უმცროსი კლასის მოსწავლეები, როცა გაიგებდა, რომ ქართული ერთა, მესროპ მაშტოცის მიხედვიდა...

**თხ. -** ვითომ ამან შეგიმნათ ქართველებს ანაბათო, არა?

**გზ -** დიაბ! მაღლი უფალის, საუნივერსიტეტო კურსი მქონდა გაელილი, ფილოლოგიუმ გახსენდით და ეკოლი, ენიც იურ მესროპ მაშტოცი. სომხეთი ბაქტერიი სათავისოდაც იცნობდნენ მესროპ მაშტოცის და სანქონიდაც, რა თქმა უნდა, ამას ბოროტი განსხრახეთ არ აკეთებდნენ. უბრალოდ შეგვახსენებდნენ ჩეკინი ისტორიული ურთიერთობის ფაქტს. მაგრამ დამუწმუნება, მშენდა და მშენის ახლაც ერთსა და ენის ისტორიის ასეთი ცოდნა.

**თხ. -** რასაც წყვი. ქართველები, ერთ დაურკვეხსით...

**გზ -** ჯრა, იმატომ რომ როგონად არ გასწავლიდით ერთსა და ენის ისტორიას. სხვა რომ არავერთ ვთქვათ, წყვინი ბაქტერიი ფანაგაზების სახელი პირველიდ გრაფიკი ირჩევილიანის „საღლეურიტელომ“ მიკრაცენ ყურს, დეფის მაღლით. თუ კარგი მასწავლებელია, შეიძლება განუმარტოს კოდევაც, კინ იურ ფარმაცეტი და რა დამსახურება პქონდა ქართული ენის წინაშე.

**თხ. -** არადა, რა დამსახი მოასწორობა აქეს ი. გოგებაშეიდას „ბუნების კარტის“ ფარნაგაზე.

**გზ -** წყვი კიდევ უამრავ ლექსისა თუ მოასწორობას ვასწავლიდით ლენინსა და პატრიარქ პირველი ქღასიანები და ფარნაგაზე უდას ასხოვთ.

ქართული ქნის კურსი უნდა თევალისწინებდეს ამგეარი მასალის მიწოდებასაც. თუ ეს არ გაეცანით და ამგეარი მასალით არ შევაყვარებ დაუდინა, არაუერი გამოიტა.

თ.ხ. - აღნათ ეს პერნდათ მხედველობაში, როცა წერდნენ ზემოხსნებული დისკუსიის მონაწილეები, რომ საგანი „ქართული ქნა“ ქართულმა გრამატიკამ შეცვალათ.

გზ. - მხედველობაში რა პერნდათ, ვერ გეტუით, რადგან ამ დისკუსიაში ბეჭრი რამ აურია... მაგრამ ფაქტია: სანამ ბაეშეი ქნის ფონეტიკური სისტემისა თუ გრამატიკული სტრუქტურის შესწავლას დაიწყებდეს, მანამდე უნდა იცოდეს, თუ რას ნაშავეს დევლენა. რომ ენა არის უპირველესი ნიშანი ერთის მეობისა, რომ ენის წახდენა ერთს დაცემის მაუწყებელია, რომ ენის მტრობა ერთს მტრობაა. ყაველივე ეს ცოდნა ლიტერატურული მასალით შეიძლება მიეწოდოს და მოზარდისათვის გასაგებ ქნაზე გაუკოდეს კომიტეტიარი, ახსაგანიარება. ბაეშემა დაბალ კლასებშივე უნდა გაცვილიეროს, რატომა აუცილებელი შშობლიური ქნის ცოდნა, შშობლიურ ქნაზე განათლების მიღება... ყაველივე ეს შეიძლება ითვალიდებოდეს. ქართული პოეზია ამისათვის მდიდარ მასალის გეძლევეს. როგორ შეიძლება, ი. გოგებაშეიღის პერიგი ქრისტიანია თენდაც საკოხავ მასალად არ ყმდევიდეს სკოლაში მოსწავლეს. კ. ცალკეული ურაზები თუ გამოინათქვამები, თითო-თორიდა ლექსიც ისწავლება ამ თემაზე, მაგრამ ეს საქმეს ერთ შეეღის.

თ.ხ. - დამამთავრუებულ კლასებში, აღნათ, ამგეარი შემეცნებითა მასალის გაზრდა შეიძლება.

გზ. - დამამთავრუებულ კლასებში ენის თეორიული კურსი უნდა ისწავლებოდეს. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში არის კადვეაც ასეთი პერიოდი. უნდა იცოდეს, რა არის ქნა, ენის წარმოშობის, ქნათა ნათესაობის, ენათა ურთიერთობისათვის, ენის ცვალებადობის შესახებ წარმოდგენა უნდა პერნდეს. ანდა, რა არის სალიტერატურო ქნა, რა არის დიალექტი, რა მიმართულა სალიტერატურო ქნასა და დააღვენებს შორის, ქართული ქნა და ერთეულობის ლიტერატურა, ქართული ენის ისტორია... რა ვიცი, გრიძლად შეიძლება საუბარი ამის თაობაზე.

თ.ხ. - თქვენ მრავალდად ნამთევალეთ საკოსხები და ხომ არ გადატევითობაც ისედაც გართულებულ სასკოლო პროგრამებს.

გზ. - არის ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა იცოდნენ ქართულმა ბაეშემა და არის ისეთი რამ, რის ცოდნაც არაა საერთოებული. რაც არა სავალდებული და აუცილებელი, იმისგან უნდა განიტვიროს სასკოლი

პროგრამული, ხელით მსგავსი საკოსტები, რაზეც საუბარი მქონდა, კვექიაბ, რომ აუცილებელია. არა, ნუ შეგვაშინებს ჩამოთვლილ საკოსტოს სიმრავლე და ნურც როგორად მოგვეწყენდა. როგორ ახერხებდა ი. გოგიაშვილი თახი წლის მანძილზე - სწავლების I-II წელს „დედაენის“, ხელი III-IV წელს „ბუნების კარიო“ - ესწავლებინა ქართველი ბაქტერიისათვის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხებიც გაეცნო მათვების ბუნება, სამყარო, ესწავლებინა ქართველი ენა და ლიტერატურა... როგორ და - გენოსურად შედგენილი სახელმძღვანელოებით. ემსერებ, თოხ წელში ორი წიგნით - „დედაენის“ და „ბუნების კარიო“ ასწავლიდა იმას, რასაც ჩეკნ თითქმის ეერ ვახერხებთ მრავალი წლის მანძილზე მრავალი სახელმძღვანელოთა.

თ.ხ. - ჩეკნ ქა „დედაენაში“ ბეერი რამ შეკვეალეთ არცოუ უკეთესით, ხოლო „ბუნების კარი“ საერთოდ მიერიგიწყეთ...

გზ. - არ ვიცი, ჩეკნის მეტიც აღმართ, ვერავინ შეძლებდა იმას, რომ გრაფიკაშეიღი გვევდეს, ის დაეიციწყოთ და მავანსა და მავანს უაზრო ექსპრესმენტების სატარების უფლება მიეცეთ. მჯერა, რომ ამიტოდან მანც დაესმება ამ საქმეს წერტილი.


არატექა, №2-3, 1992 წ.

ო, ენავ ჩემო!..



თბილისის ქუჩებში...

# კავშირი დაღაცისა ერთს სალტან და ხორბთან



დღიულობი მწერალ თამაზ ხმალაძესთან

თხ. - ბატონი გიორგი, ბოლო წლებში გახშირდა დისკუსიები იმის თაობაზე, რომ ქართველმა ბაეშემა ქართულად უნდა ისწავლოს...

გგ. - მაპარიქო, ბატონი თამაზ, შეგაწყვეტინებთ მართალია, ჩენ ქართველი ბაეშეის პრობლემა გვაწუხებს უპირველესად და საკითხსაც იმიტომ კვეთა ასე - ქართველმა ქართულ სკოლაში ისწავლოს. რამე უხერხული გაუგებობა რომ არ გამოიწვიოს, დავაზუსტოთ: ბაეშემა, განუწიველად ურთებისა, დედაქაზე უნდა მიიღოს პირველდაწყებითი განათლება.

თხ. - კვითლი. ასე დავხევათ კითხეა: რატომ არის აუცილებელი, მოზარდება განათლება მშობლიურ ენაზე მიიღოს?

გგ. - დაეწიყოთ იმით, რომ ეს მოთხოვნა - ქართველმა ქართულად ისწავლოს - იყდენ პატრიოტულ მოთხოვნად იქნა გაგებული, ეროვნული მოძრაობის მხარის აბმად იქნა შეფასებული. ცრუპატრიოტობაც ქი დაგეწამეს ამის გამო...

თხ. - იმის მოწმეც უყოფილებარ, კაცს რომ დაუტრაბახია, ბაეშეი ქართულ სკოლაში გადაეიყენეთ და ამით თავის პატრიოტობას უსვამდა ხახს...

გგ. - ქი, ბატონი, და ის მინდა გაგაცნობიეროთ, რომ ამ მოძრაობაში მართლაც არის პატრიოტული, დიდი პატრიოტული მიზანი - ქართველი ბაეშეის გონიეროւე განეთმარებას მიეცეს სწორი გზა. დეისითმოძრული ნიჭი სწორად განვითარდეს. ეს მხოლოდ დედაქაზე შესაძლებელი. სხვაგარად რომ ვთქვათ, ეს არაა პატრიოტული ახირება, პროეინციული პატრიოტიზმის გამოყენება...

თხ. - ისიც უნდა ვთქვათ, აღმართ, რომ ბოლო წლებში ჩენში შექმნილმა სახოგადოებრივ-პოლიტიკურმა სატუაციამ მოგეცა საშუალება ამ საკითხზე შეჯერებისა. ამ საკითხის მოგვარებისა.

გგ. - მაგრამ წინა ათწლეულებმა იმდენი რამ გააფუჭა ამ მხრიე, ისევ წლები დასკირდება გამოისწორებას.

თხ. - საკითხი, რომელსევ დღეს ესაუბრობთ, ყველაზე მასშტაბურად, დროიდ, მწერებდ იმდროინდელი მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით აკად გოგებაშვილიან დაისხა.

გგ. - და არა მხოლოდ იმდროინდელი მეცნიერების მიღწევათა დონეზე დაზღვით დაკითხის პერიოდის მეცნიერული საფუძვლიანობა, აქტუალობა და



პრობლემურობა, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავს.

ია თბილი სამწუხაროდ?

**გზ.** - მოგეხსენებათ, პუბლიცისტიკა წარა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის აქტუალური საკითხებისა. საუკუნის წინანდელი პუბლიცისტური ნაშრომი რომ კედებაც სადღეოსთა, ესაა სამწუხარო. საუკუნის წინათ ჩენის წინაშე მდგარი პრობლემა რომ დღესაც გადაუჭრელია-

**თხ.** - ასე რომ, ეს პრობლემა საუკუნის წინათაც იღება.

